პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 21 სექტემბერი, 1946 წ. № 190 (7713). ფასი 20 კაპ.

ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ამოცანა ბოლშევიკების პარტიის ერთ-ერთი ყველაზე პირველხარისხოვანი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა". პირველ რიგში ჩვენი ხელმძღვანელი კადრებისადმი, მთელი ჩვენი პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციისადმი მიმართული მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა შესანიშნავი სტალინური ენციკლოპედია—„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი".

რით განისაზღვრება საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის ასეთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა? იგი განისაზღვრება ინტელიგენციის როლითა და ადგილით ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოში. ცნობილია, რომ არცერთ სახელმწიფოს არ შეეძლო და არ შეუძლია იოლად გავიდეს ისე, თუ თავისი ინტელიგენცია არა ჰყავს. მით უმეტეს არ შეუძლია უინტელიგენციოდ იოლად გასვლა საბჭოთა სახელმწიფოს. ინტელიგენცია სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით მარილია საბჭოთა ქვეყნისა. ესენი არიან ჩვენი სახელმწიფო აპარატის კადრები. ესენი არიან ჩვენი მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, ტექნიკოსები, კონსტრუქტორები. ესენი არიან მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, ადამიანის სულის ინჟინრები—მწერლები. ინტელიგენციის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირში იმით განისაზღვრება, რომ ჩვენი სახელმწიფო წარმართავს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს, ახორციელებს ხალხის პოლიტიკური აღზრდის საქმეს.

აქედან დასკვნა: თავისი მოვალეობა წარმატებით და შეგნებულად რომ განახორციელოს, ყოველ საბჭოთა სახელმწიფო მუშაკს, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველ მოღვაწეს უნდა ესმოდეს სახელმწიფოს პოლიტიკა, მისი ამოცანები ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, დაუფლებული უნდა იყოს ყველა მეცნიერებათა მეცნიერებას—მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას საზოგადოებისა და მისი განვითარების კანონების შესახებ. საბჭოთა ინტელიგენტი არ უნდა იყოს და არ შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალისტი ცოდნის მის მიერ ამორჩეულ დარგში. იგი უნდა იყოს საზოგადო მოღვაწე, თავისი ქვეყნის ბედით ცხოვლად დაინტერესებული, საზოგადოებრივი განვითარების კანონების მცოდნე, იმის უნარის მქონე, რომ ისარგებლოს ამ კანონებით და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიური მონაწილე იყოს.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლის შემდეგ, პარტიამ უდიდესი მუშაობა გასწია ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. ამ მუშაობის ნაყოფმა სავსებით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის წლებში, როცა საბჭოთა ინტელიგენციამ თავისი ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხის ბრძოლაში თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს ნაყოფი თავს იჩენს დღესაც, როცა საბჭოთა ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობს ახალი სტალინური ხუთწლედის განხორციელების საყოველთაო სახალხო საქმეში.

მაგრამ უაღრესად მცდარი და მავნე იქნებოდა არ დაგვენახა სერიოზული ნაკლოვანებანი საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში. ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ ამ ბოლო ხანს შესამჩნევად შეასუსტა ეს მუშაობა, დაივიწყა, რომ ინტელიგენციის აღზრდა ხანმოკლე კამპანია როდია, რომ ამ საქმეზე საჭიროა მუდმივი, ყოველდღიური და მოფიქრებული მუშაობა.

უაღრესად სერიოზული ნაკლოვანებანი საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის მუშაობაში განსაკუთრებით მკაფიოდ მოსჩანან იმ უკანასკნელ გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ლენინგრადის ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ, დრამატიული თეატრების რეპერტუარისა და კინოფილმ „დიდი ცხოვრების" შესახებ. სავსებით აშკარაა, რომ ეს ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია მწერალთა, თეატრებისა და კინემატოგრაფიის მუშაკთა შორის იდეოლოგიური მუშაობის სისუსტით.

სად არის, მაგალითად, იმის ფესვები, რომ ლენინგრადის ჟურნალები თავაზიანად უთმობდნენ თავიანთ ფურცლებს ზოშჩენკოს ანტისაბჭოთა, ცილისმწამებლურ უხამსობას და ახმატოვას სალონურ პესიმისტურ ლექსებს, რომ ზოგიერთი ლენინგრადელი მწერალი ლიტერატურის უხამსითა და საქმოსანთა მაჩანჩალა აღმოჩნდა? იქ, რომ მწერალთა კავშირის ლენინგრადის განყოფილებაში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომლის დროსაც პარტიის, სახელმწიფოს, ხალხის ინტერესები მსხვერპლად ეწირებოდა მეგობრულ ურთიერთობას, პირად ინტერესებს, ჰყავოდა ძმაბიჭობა და ურთიერთშექება. პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტი სუსტად ეწეოდა მუშაობას ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით, რუსული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების სულისკვეთებით მწერლების აღსაზრდელად. ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებამ მოისმინა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ა. ჟდანოვის მოხსენება და საჭიროდ სცნო „გადაჭრით გაძლიერებულ იქნას იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მწერალთა, ხელოვნების მუშაკთა და სხვა მუშაკთა შორის იდეოლოგიისა და კულტურის დარგში" და მოუწოდა მწერლებს ღრმად შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმი, აიმაღლონ იდეურ-პოლიტიკური დონე. სწორედ ამაშია გასაღები მწერლების შემოქმედების ნამდვილი აყვავებისა, საბჭოთა ლიტერატურის ახალი აღმავლობისა, რომელიც მოწოდებულია ასახოს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები, აღზარდოს მშრომელნი, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობა, სიმხნევის და თავისი საქმისადმი რწმენის სულისკვეთებით, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

ანდა ავიღოთ სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტროს მიერ მომზადებული ისეთი ყალბი და მცდარი ფილმები, როგორიცაა „დიდი ცხოვრება" (მე-2 სერია), „ივანე მრისხანე" (მე-2 სერია), „ადმირალი ნახიმოვი", „უბრალო ადამიანები". ამ ფილმების რეჟისორებმა და დამდგმელებმა გამოიჩინეს საგნის აშკარა უცოდინარობა, მარქსისტული ისტორიული მეცნიერების უცოდინარობა. შედეგად გამოვიდა ისტორიული სიმართლის უხეში დამახინჯება, ფილმების იდეური შინაარსი და მხატვრული ღირსება მეტად დაბალ დონეზე აღმოჩნდა. ფრიად დამახასიათებელია, რომ „სოიუზდეტფილმის" კინოსტუდიაში, სადაც „დიდი ცხოვრება" იდგმებოდა, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უყურადღებოდ არის მიტოვებული, პარტიული ორგანიზაცია მეტად სუსტად მუშაობს სტუდიის შემოქმედებითი მუშაკების იდეური აღზრდისათვის, არ იჩენს საჭირო ზრუნველობას მათი მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის და ეს საქმე თვითდინებას მიანდო.

პარტიული ორგანიზაციების უდარდელობამ ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მიმართ თავი იჩინა უკრაინაშიც, სადაც ზოგიერთი უკრაინელი ისტორიკოსის და მწერლის ნაშრომებში გაიპარა საბჭოთა ხალხისათვის, საბჭოთა იდეოლოგიისათვის უცხო და მტრული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სულისკვეთება, გასავალი ჰპოვა უაზრო და მავნე თეორიამ, თითქოს მწერლებს „უფლება" აქვთ დაუშვან იდეოლოგიური შეცდომები.

არანაკლებ დიდმნიშვნელოვანია ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე სამეურნეო მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის კადრებში. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მიერ იდეოლოგიური მუშაობის დავიწყება იწვევს ცალკეული სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დაწვრილმანებას, პერსპექტივების დაკარგვას, ყოველი საბჭოთა მუშაკის მთავარი თვისების — ბოლშევიკური პარტიულობის, იდეურობის, პრინციპულობის დაკარგვას. ჩვენს სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ხომ ყოველდღიურად უხდებათ ურთულესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა, ეს კი მოითხოვს იმის უნარს, რომ სწორად გაერკვნენ ვითარებაში, ხედავდნენ განვითარების პერსპექტივას, კარგად და სწორად ესმოდეთ მთლიანად ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები, შეეძლოთ ამ ამოცანებს დაუქვემდებარონ თავიანთი პრაქტიკული საქმიანობის ყოველი ნაბიჯი. ცხოვრება მუდამ ადასტურებს ბრძნულ სტალინურ მითითებას იმის შესახებ, რომ „რაც უფრო მაღალია სახელმწიფო და პარტიული მუშაობის ყოველი დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტურია მუშაობის შედეგები, და პირიქით,—რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია გარღვევები და ჩავარდნები მუშაობაში, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაწვრილმანება და მონამცეცე საქმოსნებად გადაქცევა, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება".

ყველგან და ყველაფერში იხელმძღვანელოს დიდი სტალინის ამ მითითებით, აამაღლოს საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმე — ეს არის ყოველი პარტიული ორგანიზაციის მოვალეობა, ყოველი პარტიული ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანესი და პირველხარისხოვანი საზრუნავი. ამას მოითხოვენ ხალხის ინტერესები, სახელმწიფოს ინტერესები, ეს არის ჩვენი წინსვლის, ახალი სტალინური ხუთწლედის დიადი ამოცანების წარმატებით შესრულების, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აღმავლობისა და აყვავების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა!

„პრავდის" 18/IX მოწინავე.

კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიღებული მასალებისა და მთელ რიგ ოლქებში ჩატარებული შემოწმების საფუძველზე აღნიშნავენ, რომ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სერიოზულ დარღვევებს.

ეს დარღვევები გამოიხატება შრომადღეების არასწორი ხარჯვით, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატაცებით, საკოლმეურნეო საკუთრების მითვისებით, რაიონულ და სხვა პარტიულ-საბჭოთა მუშაკების მხრივ ბოროტმოქმედებებით, სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეების მართვის დემოკრატიული საფუძვლების — კოლმეურნეობათა გამგეობებისა და თავმჯდომარეების არჩევითობის, კოლმეურნეთა წინაშე მათი ანგარიშვალდებულების დარღვევით.

შრომადღეების არასწორი ხარჯვა

კოლმეურნეობებში შრომადღეების არასწორი ხარჯვა ხდება კოლმეურნეობებში სამმართველო და მომსახურე პერსონალის შტატების გაბერვით და ადმინისტრაციულ-სამმართველო საჭიროებისათვის შრომადღეებისა და ფულადი სახსრების მეტისმეტად მაღალი ხარჯვით.

ადმინისტრაციული და სამმართველო პერსონალის შტატების სრულიად უსაფუძვლო, მეტისმეტი გაფართოების გამო, შრომის არასწორად გამოყენებამ ბევრ კოლმეურნეობაში გამოიწვია შრომისუნარიან კოლმეურნეთა ნაკლებობა მინდვრად და ფერმებში სამუშაოდ, მაშინ როცა მომსახურე თანამდებობებზე აღმოჩნდა ბევრი ადამიანი, რომლებიც არაფერს აკეთებენ და უფრო მაღალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე საწარმოო სამუშაოებზე.

კოლმეურნეობებში ზედმეტ და მოგონილ თანამდებობებზე ხშირად იმალებიან წამგლეჯები და მექთამხორები, რომლებიც საწარმოო მუშაობას გაურბიან, კოლმეურნეობათა დოვლათს ნთქავენ და იმ კოლმეურნეთა შრომადღეების ხარჯზე ცხოვრობენ, რომლებიც მინდვრად მუშაობენ ან პირუტყვს უვლიან.

კოლმეურნეებთან არასწორი ანგარიშსწორების შედეგად სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება ირღვევა ბევრ კოლმეურნეობაში, როცა კოლმეურნეთა ერთი ნაწილი სრულად ვერ იღებს შრომადღეებზე მათთვის კუთვნილ ნატურასა და ფულს, მეორე ნაწილი კი იმაზე მეტს იღებს, ვიდრე გამომუშავებულ შრომადღეებზე ერგება.

კოლმეურნეობებში ფართოდ გავრცელდა ის მავნე პრაქტიკა, რომ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა ბარათებით ცალკეულ კოლმეურნეებს პროდუქტებს აძლევენ მიუხედავად იმისა, თუ რამდენი შრომადღე აქვთ მათ გამომუშავებული.

ამასთან ერთად ბევრ კოლმეურნეობაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნებით კოლმეურნეობის შრომადღეების ხარჯზე ინახავენ ისეთ პირებს, რომლებიც კოლმეურნეობაში არ მუშაობენ და რომლებსაც საკოლმეურნეო წარმოებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ: სასოფლო საბჭოების მორიგეებს, დარაჯებსა და შიკრიკებს, სახანძრო რაზმების უფროსებს, სასოფლო საბჭოებისა და რაიონული ორგანიზაციების სხვადასხვა შტატგარეშე მუშაკებს.

გარდა ამისა, კოლმეურნეობებში შრომადღეების ხარჯზე ხშირად ინახავენ პარიკმახერებს, მეჩექმეებს, მკერავებსა და სხვა მუშაკებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ კოლმეურნეთა პირად საჭიროებებს და ამის მიხედვით მათს შრომას თვით კოლმეურნენი უნდა ანაზღაურებდნენ.

ადგილი აქვს აგრეთვე იმ მავნე პრაქტიკას, რომ შრომადღეებს უწერენ სხვადასხვა სასოფლო და რაიონული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის შესრულებულ სამუშაოებზე (სადგომების შენებლობა და რემონტი, შეშისა და საშენი მასალის დამზადება, დატვირთვის სამუშაოები და სხვ.).

შრომადღეების გაფლანგვის ეს ფაქტები იწვევენ შრომადღის გაუფასურებას, შრომადღეზე გასანაწილებელი შემოსავლის შემცირებას და, მაშასადამე, საკოლმეურნეო შრომით კოლმეურნეთა დაინტერესების შემცირებასაც.

საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწების დატაცება

საბჭოთა-პარტიული და სამიწათმოქმედო ორგანოები ვალდებული იყვნენ სასტიკად დაეცვათ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწები დატაცებისაგან, როგორც ამის შესახებ გაფრთხილებას იძლეოდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავიანთი 1939 წლის 27 მაისის დადგენილებით. ხოლო ფაქტები და შემოწმება ცხადჰყოფენ, რომ სინამდვილეში ეს დადგენილება ბევრმა მუშაკმა დავიწყებას მისცა და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატაცების ფაქტებმა კვლავ მასობრივი ხასიათი მიიღო.

საზოგადოებრივი მიწების ეს დატაცება ხდება კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების გადიდებით, თვითნებურად დაკავებით ან კოლმეურნეობათა გამგეობებისა და თავმჯდომარეების მიერ უკანონოდ მიწის მიმატების გზით, საზოგადოებრივი მეურნეობის საზიანოდ პირადი მეურნეობის გაბერვის მიზნით.

საზოგადოებრივი მიწების დატაცება ხდება აგრეთვე იმ გზით, რომ ადგილობრივი საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები უკანონოდ გამოუყოფენ ყოველნაირ ორგანიზაციებსა და პირებს, ანდა ზოგჯერ ეს ორგანიზაციები და პირები თვითნებურადაც იკავებენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მიწებს, საკოლმეურნეო მიწებზე ყოველნაირი დამხმარე მეურნეობებისა და მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური ბოსტნების შექმნის სახით. ამასთან საზოგადოებრივი მიწების ასეთი დატაცება ხშირად კოლმეურნეობათა გამგეობების, სასოფლო საბჭოებისა და რაისაბჭოების თავმჯდომარეთა წაყრუებით ხდება. ცხადია, რომ ყოველნაირი დამხმარე მეურნეობებისათვის კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების უკანონოდ დაკავება ამცირებს კოლმეურნეობათა მიწის ფონდებს, ძირს უთხრის კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობას და აქეზებს კოლმეურნეობებში ცალკეული წამგლეჯი ელემენტების მიერ საზოგადოებრივი მიწების ხელში ჩაგდებას.

საზოგადოებრივი მიწების დატაცება, როგორც აღნიშნავდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავიანთ 1939 წლის 27 მაისის დადგენილებაში, იმას იწვევს, რომ **„ინტერესები კოლმეურნეობის საზოგადო მეურნეობისა, რომლის საფუძველსაც საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწა შეადგენს, ეწირება კერძო-მესაკუთრულ და წამგლეჯურ ელემენტებს, რომლებიც კოლმეურნეობას სპეკულაციისა და პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ".**

საკოლმეურნეო ქონების მითვისება

გამორკვეულია ბოროტმოქმედებათა ფაქტები, რომლებიც გამოიხატება იმით, რომ საკოლმეურნეო საკუთრებას სხვა პარტიულ-საბჭოთა მუშაკებიც ითვისებენ. საკოლმეურნეო ქონების მითვისება ხდება იმ გზით, რომ კოლმეურნეობებს უფასოდ ან დაბალ ფასად ართმევენ საკოლმეურნეო პირუტყვს, მარცვლეულს, თესლს, საკვებს, ხორცს, რძეს, კარაქს, თაფლს, ბოსტნეულს, ხილს და სხვა. ზოგიერთი საბჭოთა-პარტიული და სამიწათმოქმედო რაიონული მუშაკები ნაცვლად იმისა, რომ სასტიკად დაიცვან საზოგადოებრივი საკუთრება როგორც საკოლმეურნეო წყობილების საფუძველი, უხეშად არღვევენ საბჭოთა კანონებს, ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას და უკანონოდ განაგებენ კოლმეურნეობების ქონებას, ნატურალურ და ფულადს შემოსავალს, აიძულებენ კოლმეურნეობათა გამგეობებსა და თავმჯდომარეებს უფასოდ ან დაბალ ფასად მისცენ მათ კოლმეურნეობებს კუთვნილი ქონება, პირუტყვი და პროდუქტები.

ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას, დაადგა კოლმეურნეობების მიმართ თვითნებობისა და უკანონობის გზას და სრულიად უსირცხვილოდ აფათურებს ხელს კოლმეურნეობათა ქონებაში, როგორც თავის საკუთარ ჯიბეში.

ადვილი გასაგებია, რომ ეს ბოროტმოქმედებანი ძირს უთხრიან კოლმეურნეობათა კეთილდღეობას, ხრწნიან ხელმძღვანელ საკოლმეურნეო კადრებს და უბიძგებენ მათ თავის მხრივ ყოველგვარი უკანონობისაკენ.

ამასთან ერთად პრაქტიკაში ადგილი აქვს კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას მთელი რიგი სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციების მხრივ, როდესაც კოლმეურნეობების მიერ მიწოდებული ან მიყიდული პროდუქციისა თუ კოლმეურნეობების მიერ შესრულებულ სამუშაოთათვის დროულად არ აძლევენ კოლმეურნეობებს კუთვნილ ფულს, რაც არყევს კოლმეურნეობების მეურნეობას.

კოლმეურნეობების მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ადგილი აქვს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სერიოზულ დარღვევებს სასოფლო-სამეურნეო არტელის ხელმძღვანელი ორგანოების — გამგეობის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სარევიზიო კომისიის არჩევითობის, კოლმეურნეთა საერთო კრებების რეგულარულად მოწვევის, კოლმეურნეთა საერთო კრების წინაშე კოლმეურნეობის გამგეობისა და თავმჯდომარის ანგარიშვალდებულების მხრივ.

ეს დარღვევები იმით გამოიხატება, რომ ბევრ კოლმეურნეობაში აღარ იწვევენ კოლმეურნეთა საერთო კრებებს და, ამრიგად, კოლმეურნენი გარიყული აღმოჩნდნენ კოლმეურნეობის საქმეებში მონაწილეობისაგან და ფაქტიურად სასოფლო-სამეურნეო არტელის მთელ საქმეებს, მათ შორის შემოსავლის განაწილებას, სამეურნეო გეგმებს, მთელ მატერიალურ სახსრებზე განკარგულების საკითხებს სწყვეტს მხოლოდ გამგეობა, ან კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობა ან თავმჯდომარე ანგარიშს არ აბარებენ კოლმეურნეთა საერთო კრებას თავიანთი საქმიანობის შესახებ.

დემოკრატიის საფუძვლების ასეთი დარღვევის შედეგად კოლმეურნეთა საერთო კრებები გამგეობის, კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად რამდენიმე წლის განმავლობაში აღარ იკრიბება, კოლმეურნეობის გამგეობისა და თავმჯდომარის არჩევნების ის ვადები, რაც დადგენილია წესდებით, დაცული არ არის. საქმე ისეთ უმსგავსობამდე მიდის, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს რაიონული პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციები ნიშნავენ და ხსნიან,—კოლმეურნეთათვის შეუტყობინებლად.

ასეთი მდგომარეობა იმას იწვევს, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები პასუხისმგებლობას აღარ გრძნობენ კოლმეურნეთა წინაშე, მათგან დამოუკიდებელი ხდებიან — ჰკარგავენ კავშირს კოლმეურნეებთან, რაც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების საფუძვლების დამახინჯებას, არღვევს დემოკრატიულ ურთიერთობას კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასა და კოლმეურნეებს შორის და ამით სერიოზულ ზიანს აყენებს კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეს.

• • •

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ზემოთ აღნიშნულ ბოროტმოქმედებებსა და დარღვევებს კოლმეურნეობების საქმისათვის უაღრესად მავნედ და ჩვენი ქვეყნის მთელი სოციალისტური მშენებლობისათვის მეტად საშიშრად სთვლიან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის დამახინჯებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ასეთ მავნე და ლენინიზმისათვის უცხო პრაქტიკას გადაჭრით და ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაგმობილ იქნას საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის დამახინჯებანი და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევანი, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილებაში, როგორც ანტისაკოლმეურნეო და ანტისახელმწიფოებრივი, ხოლო დამნაშავენი მიცემულ იქნან სასამართლო პასუხისგებაში, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი.

2. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საოლქო და სამხარეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სასწრაფოდ აღმოფხვრან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევები, მთლიანად აღადგინონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მოქმედება და დაიცვან კოლმეურნეობანი საკოლმეურნეო ქონების ხელყოფისაგან.

3. ბოლო მოეღოს კოლმეურნეობებში შრომადღეების დატაცებისა და საკოლმეურნეო შემოსავლის არასწორად განაწილების პრაქტიკას.

ორი კვირის ვადაში ყველა კოლმეურნეობაში შემოწმდეს და შემცირდეს ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის გაბერილი შტატები და მათი ანაზღაურებისათვის შრომადღეების ხარჯვა, ხოლო ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები შეუფარდდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას.

შრომადღეებით ანაზღაურებიდან მოიხსნან ის პირები, რომლებსაც კოლმეურნეობებთან დამოკიდებულება არა აქვთ, და აეკრძალოს რაიონულ, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს კოლმეურნეობებისაგან ისეთ სამუშაოთა შრომადღეებით ანაზღაურების მოთხოვნა, რომლებსაც კოლმეურნეობებთან დამოკიდებულება არა აქვთ.

4. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე სამხარეო და საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მთლიანად აღადგინონ „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 27 მაისის დადგენილების მოქმედება.

1946 წლის 15 ნოემბრამდე თითოეულ კოლმეურნეობაში ნატურით შემოწმდეს და ზონარგაყრილ საადგილმამულო წიგნებში ჩანაწერებთან შედარდეს არსებული საზოგადოებრივი მიწები და საკარმიდამო ნაკვეთების სიდიდე, ჩამორთმეულ იქნას როგორც ცალკეული კოლმეურნეების, ისე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად უკანონოდ დაკავებული მიწები და დაუბრუნდეს ისინი კოლმეურნეობებს.

ამავე ვადაში აღდგენილ იქნას კოლმეურნეობათა მიწების ჩაწერის მთელი დოკუმენტაცია (აქტები, ზონარგაყრილი წიგნები და სხვ.).

გაუქმდეს მე-2 პუნქტი ომის დროისათვის მოქმედი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 7 აპრილის დადგენილებისა იმის შესახებ, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს თავისუფალი საქალაქო მიწების, აგრეთვე სახელმწიფო ფონდის მიწების უქონლობის შემთხვევაში უფლება ეძლეოდათ სამრეწველო საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილებისათვის ნება დაერთოთ დროებით ეწარმოებინათ თესვა კოლმეურნეობათა გამოუყენებელ მიწებზე მათი თანხმობით, ხოლო ამ დადგენილების თანახმად დროებით გადაცემული მიწები 1946 წლის 15 ნოემბრამდე დაუბრუნდეს სათანადო კოლმეურნეობებს.

5. დაწესდეს, რომ საბჭოთა, პარტიული და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით საკოლმეურნეო ქონების, საზოგადოებრივი მიწის, ფულადი სახსრების დატაცებასა და უკანონოდ გამგებლობაში, მოიხსნებიან თანამდებობიდან და მიცემულ იქნებიან სამართალში, როგორც კანონის დამრღვევნი და საკოლმეურნეო წყობილების მტრები.

დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს ორი თვის ვადაში უზრუნველყონ კოლმეურნეობებისათვის იმ ქონების, პირუტყვისა და ფულადი სახსრების დაბრუნება, რაც მათ უკანონოდ გამოართვეს, და ერთი თვის ვადაში მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, თუ რა ზომები მიიღეს საკოლმეურნეო ქონების დატაცებაში კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ.

6. სისხლის სამართლის წესით პასუხისგების შიშით აეკრძალოს რაიონულ და სხვა ორგანიზაციებსა და მუშაკებს მოსთხოვონ კოლმეურნეობებს პური, პროდუქტები, ფული სხვადასხვა ორგანიზაციების საჭიროებისათვის და ყრილობების, თათბირების, დღესასწაულების ჩასატარებლად, რაიონულ მშენებლობათა დასაფინანსებლად.

7. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე სამხარეო და საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ სხვადასხვა ორგანიზაციების ანგარიშსწორებაში კოლმეურნეობებთან, 3 თვის ვადაში აღმოფხვრან მთელი დავალიანება კოლმეურნეობებისადმი სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მხრივ და ამიერიდან დაამყარონ კოლმეურნეობებთან მათი პროდუქციისა და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთათვის დროული და კეთილსინდისიერი ანგარიშსწორების წესი.

8. აღდგენილ იქნას ბევრ კოლმეურნეობაში დარღვეული, წესდებით დადგენილი დემოკრატიული წესი კოლმეურნეობის საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად კოლმეურნეთა საერთო კრებების მოწვევისა, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და თავმჯდომარეების საერთო კრებების მიერ არჩევისა, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და თავმჯდომარეების ანგარიშვალდებულება კოლმეურნეთა წინაშე და სარევიზიო კომისიების მუშაობა.

სასტიკი პასუხისმგებლობით აეკრძალოს პარტიის რაიკომებს, რაისაბჭოებს და სამიწათმოქმედო ორგანოებს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების დანიშვნა თუ მოხსნა კოლმეურნეთა საერთო კრებების გვერდის ავლით.

1947 წლის 15 თებერვლამდე ყველა კოლმეურნეობაში ჩატარდეს კოლმეურნეთა საერთო კრებები კოლმეურნეობათა გამგეობების ანგარიშების მოსასმენად 1946 წელს მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ და ჩატარდეს ამ კრებებზე კოლმეურნეობათა გამგეობების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სარევიზიო კომისიების არჩევნები იმ შემთხვევაში, თუ წესდებით დადგენილი ვადები გასულია, ან როცა კოლმეურნეთა საერთო კრება საჭიროდ ჩასთვლის ვადამდე მოახდინოს ეს.

9. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს 1947 წლის 1 იანვრისათვის წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

10. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი სასტიკი კონტროლის, წესდების დარღვევათა ცდისაგან კოლმეურნეობათა დაცვის მიზნით, აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხების გადასაჭრელად სსრ კავშირის მთავრობასთან შეიქმნას კოლმეურნეობების საქმეთა საბჭო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სტალინი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ა. ჟდანოვი

1946 წ. 19 სექტემბერი.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო აღნიშნავენ, რომ საკოლმეურნეო მიწის სარგებლობის დარგში ადგილი აქვს პარტიის პოლიტიკის სერიოზულ დამახინჯებებს. ეს დამახინჯებანი გამოიხატებიან იმით, რომ ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მეორე პუნქტი საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში მყოფი საკარმიდამო მიწის ნორმების შესახებ, იმ მხრივ, რომ ამ ნორმებს უკანონოდ აფართოებენ კოლმეურნის პირადი მეურნეობის სასარგებლოდ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწების განიავებისა და დატაცების გზით.

კოლმეურნეთა პირადი მეურნეობების სასარგებლოდ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავება და დატაცება სწარმოებს იმ ხაზით, რომ საკარმიდამო ნაკვეთებს ყოველგვარი უკანონო გზით მიუზომავენ ხოლმე წესდებით გათვალისწინებული ნორმების გადამეტებით ოჯახების ყალბი გაყოფის წესით, როცა საკოლმეურნეო კომლი მოტყუების გზით ოჯახის ვითომდა გამოყოფილი წევრების წილად იღებს საკარმიდამო მიწის დამატებით ნაკვეთს, ანდა კოლმეურნეობის საზოგადოებრივი საყანე მიწების ხარჯზე კოლმეურნეთათვის საკარმიდამო ნაკვეთების პირდაპირ გამოყოფის წესით.

ამ ანტისაკოლმეურნეო და ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის შედეგად ინტერესები კოლმეურნეობის საზოგადო მეურნეობისა, რომლის საფუძველსაც საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწა შეადგენს, ეწირება კერძო-მესაკუთრულ და წამლეკურ ელემენტებს, რომლებიც კოლმეურნეობას სპეკულაციისა და პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ისეთი პრაქტიკა დამკვიდრდა, როდესაც კოლმეურნის საკარმიდამო ნაკვეთი სინამდვილეში იქცევა საკოლმეურნეო კომლის კერძო საკუთრებად და მას განაგებს არა კოლმეურნეობა, არამედ კოლმეურნე თავისი შეხედულებისამებრ: იჯარით აძლევს მას, საკარმიდამო ნაკვეთს თავის სარგებლობაში ინარჩუნებს მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობაში არ მუშაობს.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებასა და დატაცებას ხელს უწყობს კოლმეურნეობათა მიწის მეურნეობაში არსებული არევ-დარევა და უწესრიგობა, როდესაც საკარმიდამო ნაკვეთები და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწები ერთმანეთშია არეული ისე, რომ საკარმიდამო ნაკვეთები მდებარეობს არა მეკომურის მახლობლად, არამედ გამოყოფილია კოლმეურნეობის საყანე მიწებში, საკარმიდამო მიწები გამიჯნული არ არის საყანე მიწებისაგან, არ ხდება საყანე და საკარმიდამო მიწების აღრიცხვა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისა და კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის გაბერვის ყველა ეს და ამის მსგავსი ფაქტები იმას იწვევს, რომ საკარმიდამო მეურნეობა დამხმარე მეურნეობის ხასიათს ჰკარგავს და ზოგჯერ კოლმეურნის შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცევა.

ამის შედეგად კოლმეურნეობებში მოიპოვება საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ცრუ-კოლმეურნეებისა, რომლებიც ან სრულიად არ მუშაობენ კოლმეურნეობებში, ანდა მუშაობენ თვალის ასახვევად და დროის მეტ ნაწილს თავის პირად მეურნეობას ანდომებენ.

ასეთი მდგომარეობა, როდესაც კოლმეურნეთა ერთი ნაწილი მონაწილეობას არ იღებს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ შრომაში და ამავე დროს საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა სიკეთით სარგებლობს, სპეკულაციას ეწევა რა კოლმეურნის მდგომარეობით და იყენებს რა კოლმეურნეობაში ყოფნის უპირატესობებს თავის პირადი გამორჩენის მიზნით, აუცილებლად აფერხებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას კოლმეურნეობებში, ძირს უთხრის შრომის დისციპლინას მათში, დეზორგანიზაცია შეაქვს პატიოსან კოლმეურნეთა რიგებში და ამით აბრკოლებს კოლმეურნეობათა შემოსავლიანობისა და შეძლებულობის შემდგომ ზრდას.

ის მდგომარეობა, როდესაც კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა ერთი ნაწილი თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობას,—კოლმეურნეობებში იწვევს მუშახელის ხელოვნური ნაკლებობის შექმნას, მაშინ როდესაც სინამდვილეში სსრ კავშირის მეტ წილ რაიონების კოლმეურნეობებში დიდძალი ჭარბი მუშა-ხელი მოიპოვება და ამ მუშა-ხელის კოლმეურნეობებში სამუშაოდ გამოყენებას შეეძლო არა მარტო მოეხდინა კოლმეურნეობებში მუშა-ხელის ყალბი ნაკლებობის ლიკვიდაცია, არამედ ეს გაანთავისუფლებდა კიდეც მუშა-ხელის მნიშვნელოვან ნაწილს მრეწველობისათვის და სსრ კავშირის უხვმიწიან რაიონებში დასასახლებლად, სადაც მართლაც მუშა-ხელის ნაკლებობაა (პოვოლჟიე, ომსკის ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი, ნოვოსიბირსკის ოლქი, ჩკალოვსკის ოლქი, ალტაის მხარე, შორეული აღმოსავლეთი, ყაზახეთი).

საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში პარტიის პოლიტიკის საფუძვლების ყველა ეს დამახინჯება იმ ნიადაგზე შეიქმნა, რომ ადგილობრივი რაიონული და საოლქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არასწორად, არაბოლშევიკურად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს. იმის ნაცვლად, რომ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის სადარაჯოზე იდგნენ და დაიცვან საკოლმეურნეო წყობილების ძლიერებისა და სიმტკიცის ძირითადი წყარო — კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწა—კერძომესაკუთრული ელემენტების ხელყოფისაგან, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა საკოლმეურნეო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრა თვითდინებას მიანდეს და ხშირად მორჩილად მიჰყვებოდნენ რა კოლმეურნეთა რიგებში მყოფ წამლეკურ ელემენტებს, თვითონ კისრულობდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ინიციატივას.

ბევრ ჩვენს პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელს, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ კოლმეურნეობებში, პატიოსან მშრომელთა უდიდეს უმრავლესობასთან ერთად, მოიპოვება კოლმეურნეების ერთი ნაწილი, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯოს თავის სასარგებლოდ, ხოლო კოლმეურნეობას რაც შეიძლება ნაკლები მისცეს. რომელიც ყოველ საშუალებას იყენებს იმისათვის, რომ კოლმეურნედ ითვლებოდეს, პატიოსანი და კეთილსინდისიერი კოლმეურნეების თანაბრად სარგებლობდეს საკოლმეურნეო მიწით, მუშა-პირუტყვით, საძოვრებით, სესხებით და სხვ., ხოლო ამავე დროს თავი აარიდოს კოლმეურნეობებში მუშაობას და უგულებელჰყოს საზოგადოებრივი შრომა, ცდილობს თავისი პირადი მეურნეობის გაბერვას.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზემოაღნიშნული და მათი მსგავსი უაღრესად უხეში დარღვევანი ფართოდ გავრცელდა მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურ მუშაობას ეწეოდნენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა საკოლმეურნეო წესდების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით აღსაზრდელად, თავიანთი ოპორტუნისტული პრაქტიკით თვითონ უწყობენ ხელს წესდების დარღვევას და დანაშაულებრივი შემწყნარებლობით ეკიდებიან კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წყობილებისადმი მტრული კერძო-მესაკუთრული, ბურჟუაზიული ტენდენციების შეპარვას, რომლებიც შეაქვთ განადგურებული კულაკობის ნაშთებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო, სთვლიან რა ასეთ პრაქტიკას ბოლშევიზმისათვის უცხო, ძირფესვიანად ოპორტუნისტულ პრაქტიკად, ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მიწების განიავების და დატაცების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას, საკარმიდამო ნაკვეთების შეფარდებას წესდებით გათვალისწინებულ ნორმებთან, კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწების ხელუხლებლობაზე უსასტიკესი კონტროლის დაწესებას, კოლმეურნეობებში წამლეკური და სპეკულანტური ელემენტების გადაჭრით ალაგმვას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო ადგენენ:

1. დაგმობილ იქნას, როგორც ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა რაიონული და საოლქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და სამიწათმოქმედო ორგანოებისა, რომლებიც უშვებენ საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის დარგში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევას, რაც გამოიხატება კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის სასარგებლოდ საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწების დანაშაულებრივი განიავებით.

2. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწები ხელუხლებელია და მათი ოდენობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შემცირებულ იქნას სსრ კავშირის მთავრობის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, არამედ ისინი შეიძლება მხოლოდ გადიდებულ იქნან.

3. კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის სასარგებლოდ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწების შემცირების ყოველი ცდა, ისევე როგორც საკარმიდამო ნაკვეთების გადიდება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ოდენობის გადამეტებით, განიხილება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, ხოლო დამნაშავენი სამართალში უნდა იქნან მიცემულნი.

4. დაწესდეს, რომ პარტიის რაიკომების მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები და აგრეთვე პარტიული და საბჭოთა სხვა მუშაკები, რომლებიც დაუშვებენ საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მიწების განიავებას და წესდებით გათვალისწინებული ნორმების გადამეტებით კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობის გადიდებას, უნდა მოიხსნან თანამდებობიდან, გაირიცხონ პარტიიდან და მიცემულ იქნან სამართალში, როგორც კანონის დამრღვევნი.

5. კოლმეურნეები, რომლებიც საკარმიდამო ნაკვეთს იჯარით გასცემენ ან სხვა პირთა სარგებლობაში გადასცემენ, გარიცხულ უნდა იქნან კოლმეურნეობიდან და ჩამოერთვათ მათ საკარმიდამო ნაკვეთები.

6. კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი, რომლებიც საკოლმეურნეო მინდვრებსა და მდელოებში, აგრეთვე ტყეებში არსებულ სათიბებს ინდივიდუალურ სათიბებად გადასცემენ კოლმეურნეებს ან იმ პირთ, რომლებიც კოლმეურნეობაში არ ირიცხებიან, გარიცხული იქნებიან კოლმეურნეობიდან და მიცემული იქნებიან სამართალში, როგორც კანონის დამრღვევნი.

7. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს ა./წ. 15 აგვისტომდე ჩაატარონ გაზომვა ყველა საკარმიდამო მიწებისა, რომლებიც კოლმეურნეთა პირად სარგებლობაშია, მათ შორის კოლმეურნეთა იმ მიწებისა, რომლებიც კარმიდამოს გარეთაა და მოქცეულია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების ფართობში და კოლმეურნეთა ხუტორული კარმიდამოებისა, რომლებიც მდებარეობენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მინდვრებში. ამასთან:

ა) გაზომვის შედეგების შესაბამისად, კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწებიდან გამოირიცხოს და მიეზომოს საზოგადოებრივ საკოლმეურნეო მიწებს იმ ნორმების მთელი ზედმეტი ფართობი, რომლებიც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მეორე პუნქტით, სადაც ნათქვამია: „საკარმიდამო მიწის ოდენობა, რომელიც არის კოლმეურნე მეკომურის პირად სარგებლობაში (იმ მიწების ჩაუთვლელად, რომელზედაც არის საცხოვრებელი ნაგებობანი), შეიძლება მერყეობდეს ¼ ჰექტარიდან ½ ჰექტარამდე, ხოლო ცალკე რაიონებში—1 ჰექტარამდე საოლქო და რაიონული პირობების მიხედვით, რასაც აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომები სსრ კავშირის მიწსახკომის მითითებების საფუძველზე“;

ბ) კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული ყველა მიწები, რომლებიც კარმიდამოს გარეთ მდებარეობს საკოლმეურნეო მინდვრებში (ლევადები, ბოსტნები, ბაღჩები და სხვ.), გამოირიცხოს პირადი სარგებლობიდან და შეუერთდეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მიწებს, ამასთან იმ შემთხვევებში, როცა ასეთი მიზომვის შემდეგ საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში დარჩენილი საკარმიდამო მიწა წესდებით განსაზღვრულ ნორმაზე ნაკლები აღმოჩნდება, კოლმეურნეობამ ასეთ კომლს მიწის დანაკლისი რაოდენობა უნდა მიუზომოს მიწის საკარმიდამო ფონდიდან, რაც გამოყოფილია ახალი საკოლმეურნეო მეკომურებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების მისაცემად;

გ) ლიკვიდირებულ იქნას კოლმეურნეთა ის ხუტორული საკარმიდამო ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობენ კოლმეურნეთა საზოგადოებრივ მინდვრებში, რასაც ადგილი აქვს სხვადასხვა ოლქების რაიონებში, მათ შორის ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, უკრაინის სს რესპუბლიკაში, სმოლენსკის, კალინინის, ლენინგრადის ოლქებში და ეს კოლმეურნეები დასახლებულ იქნან ერთ ადგილას, ხოლო დასახლების ადგილას მიეზომოთ მათ საკარმიდამო ნაკვეთები თანახმად წესდებით გათვალისწინებული ნორმებისა. ეს მუშაობა დამთავრდეს 1940 წლის 1 სექტემბრისათვის.

8. განსაზღვრულ იქნას ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საყანე მიწა—მებამბეობის რაიონებში — სარწყავი — ჰექტარის ათი მეასედით, ურწყავი — ნახევარი ჰექტარით, ბაღ-ბოსტნეულისა და ჭარხლის რაიონებში — ნახევარი ჰექტარით, ყველა დანარჩენ რაიონში ერთ ჰექტარამდე, ხოლო ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საკარმიდამო ნაკვეთი, შენობებით დაკავებული მიწის ჩათვლით, განისაზღვროს სარწყავ რაიონებში — ჰექტარის ათი მეასედით, ყველა დანარჩენ რაიონში ჰექტარის ოცი მეასედით.

ერთპიროვნული მეურნის როგორც საყანე, ისე საკარმიდამო მიწის აღნიშნულ ნორმებთან შედარებით მთელი გარდამეტი მიწები მიეზომოს საკოლმეურნეო მიწებს და უმთავრესად მოხმარდეს კოლმეურნეობის საკარმიდამო მიწის ფონდის შექმნას.

ასევე მოხმარდეს კოლმეურნეობის საკარმიდამო მიწის ფონდის შექმნის იმავე მიზანს ა) საკარმიდამო მიწები იმ ცრუკოლმეურნეებისა, რომლებიც დიდი ხანია მოსწყდნენ საკოლმეურნეო ცხოვრებას და ფაქტიურად გავიდნენ კოლმეურნეობის შემადგენლობიდან, ბ) იმ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები, რომლებიც ვერ იმუშავებენ შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს და ამის გამო კოლმეურნეობიდან გასულად ითვლებიან, გ) იმ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები, რომლებიც მცირემიწიანი რაიონებიდან სახლდებიან უხვმიწიან რაიონებში.

9. მე-7 („ა“ და „ბ“) და მე-8 პუნქტების მიხედვით ღონისძიებათა გატარება დამთავრდეს არა უგვიანეს 1939 წლის 15 ნოემბრისა.

10. თვითეული კოლმეურნეობის საკარმიდამო მიწები ზუსტად უნდა იქნას გამიჯნული საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწებიდან მაჩვენებელი სვეტებით.

11. დაწესდეს თვითეულ კოლმეურნეობაში, როგორც კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწების, ისე თვითეული საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო ნაკვეთების სავალდებულო ჩაწერა, რისთვისაც შემოღებულ იქნას მიწის სპეციალური ზონარგაყრილი დავთარი.

12. შემოღებულ იქნას რაიაღმასკომების სამიწათმოქმედო განყოფილებებში მიწების სახელმწიფო სარეგისტრაციო დავთარი, სადაც ხდებოდეს აღრიცხვა: ა) თვითეული კოლმეურნეობის მიწის მთლიანი მასივის სამუდამო სარგებლობის აქტის თანახმად, ბ) კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწებისა (ცალკე), გ) კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა (ცალკე) და დ) იმ მიწებისა, რომლებიც ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობის სხვა არაწევრთა პირად სარგებლობაშია.

13. საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწების ფაქტიური ოდენობის, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების ფაქტიური ოდენობის პერიოდულად შემოწმებისათვის იმ თვალსაზრისით, რომ შეესაბამება თუ არა ეს ოდენობა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებასა და საკოლმეურნეო მიწების რეგისტრაციის სახელმწიფო დავთრის ჩანაწერებს, და აგრეთვე იმ მიწებისა, რომლებიც ერთპიროვნულ კომლთა და კოლმეურნეობის სხვა არაწევრთა სარგებლობაშია, დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს შემოიღოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მიწსახკომებთან, საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებებთან რევიზორ-მიწისმზომლების თანამდებობანი.

14. იმის გამო, რომ კოლმეურნეობებში არიან არა მარტო პატიოსანი მშრომელები, რომელნიც წელიწადში იმუშავებენ 200-დან 600-მდე შრომადღეს და მეტსაც, რომელნიც კოლმეურნეთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ და საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ძალას წარმოადგენენ, არამედ მოიპოვება აგრეთვე ერთი ნაწილი ასეთი შრომისუნარიანი კოლმეურნეებისა, რომელნიც წლის განმავლობაში იმუშავებენ არა უმეტეს 20-30 შრომადღისა, მაგრამ მაინც ირიცხებიან კოლმეურნეებად და კოლმეურნეობას კისერზე ასხედან,—მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რათა 1939 წლიდან თვითეული შრომისუნარიანი კოლმეურნისა და კოლმეურნე-ქალისათვის დაწესდეს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი წელიწადში:

ა) 100 შრომადღის რაოდენობით მებამბეობის რაიონებში,

ბ) 60 შრომადღის რაოდენობით მოსკოვის, ლენინგრადის, ივანოვის, იაროსლავლის, გორკის, კალინინის, ვოლოგდის, ტულის, რიაზანის, სმოლენსკის, არხანგელსკის, მურმანსკის, კიროვის, პერმის, სვერდლოვსკის, ჩიტის ოლქებში, ხაბაროვსკისა და პრიმორიეს მხარეებში, კარელიის, კომის, მარისა და იაკუტის ასს რესპუბლიკებში, მარცვლეულისა და მეცხოველეობის მაღალმთიან რაიონებში სსრ კავშირის მიწსახკომის სიის მიხედვით.

გ) 80 შრომადღის რაოდენობით სსრ კავშირის ყველა დანარჩენი რაიონებისათვის.

მიეცეთ კოლმეურნეობებს რჩევა—დააწესონ, რომ ის შრომისუნარიანი კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები, რომელნიც წლის განმავლობაში ზემოაღნიშნულზე ნაკლებ ნორმებს გამოიმუშავებენ, უნდა ითვლებოდნენ კოლმეურნეობიდან გასულად და ისეთებად, რომელთაც დაჰკარგეს კოლმეურნის უფლება.

15. იმის გამო, რომ არ შეიძლება საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მიწების შემცირება, ხოლო მცირემიწიან კოლმეურნეობებში უკვე ამოიწურა მიწის რეზერვები კოლმეურნეებისათვის წესდების ნორმების მიხედვით საკარმიდამო ნაკვეთების გამოსაყოფად, საჭიროდ ჩაითვალოს კოლმეურნეთა დასახლება ასეთი კოლმეურნეობებიდან უხვმიწიან რაიონებში (პოვოლჟიე, ომსკის ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი, ალტაის მხარე, ყაზახეთი, შორეული აღმოსავლეთი და სხვ.). უხვმიწიან რაიონებში კოლმეურნეთა ნაჭარბი ნაწილის დასახლების საქმის ხელმძღვანელობისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან შეიქმნას დასახლების სამმართველო, რომელსაც თავისი ორგანოები ექნება მოკავშირე რესპუბლიკებში, ოლქებსა და მხარეებში.

16. დაწესდეს, რომ იმ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები, რომელნიც კოლმეურნეობებში ცხოვრობენ და ირიცხებიან, საკარმიდამო ნაკვეთს ნორმით გათვალისწინებულ ფარგლებში ინარჩუნებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ოჯახთა შრომისუნარიანი წევრები მუშაობენ კოლმეურნეობაში და ასრულებენ შრომადღეთა დაწესებულ მინიმუმს.

17. 1939 წლის შემოდგომაზე მოწვეულ იქნას კოლმეურნეთა ყრილობა, რომელზედაც დაისვას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში შესატან შესწორებათა საკითხი.

საკავშირო კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი ი. სტალინი
1939 წლის 27 მაისი.

სსრ კავშირის სახალხო
კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი

სწორად შევახამოთ კოლმეურნეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების განხორციელებით სტალინური ხუთწლედების მანძილზე აჭარის კოლმეურნეობები განმტკიცდნენ მეურნეობრივად და პოლიტიკურად. 191 კოლმეურნეობიდან 19-ს აქვს მილიონზე მეტი შემოსავალი, ხოლო 136-ს—ნახევარი მილიონ მანეთზე მეტი. შარშან კოლმეურნეობათა საერთო ფულადმა შემოსავალმა 76.361.962 მანეთი შეადგინა.

მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან მათს შემდგომ განმტკიცებას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალია მოსავლიანობა, ადგილი აქვს საზოგადოებრივი მიწების განიავების, თვითნებურად მითვისების ფაქტებს. ქობულეთის რაიონის ლეღვას სასოფლო საბჭოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში წელს მიითვისეს კოლმეურნეობის 10 ჰექტარი მიწა. ბათუმის რაიონის თხილნარის სასოფლო საბჭოს გორკის სახელობის კოლმეურნეობაში გაანიავეს 1,3 ჰექტარი. მარტო წელს აჭარაში გამოვლინებულია კერძო პირთა მიერ თვითნებურად მითვისებული 229 ჰექტარი მიწა.

ზოგჯერ კოლმეურნეები მათ განკარგულებაში არსებული 0,75 ჰექტარის გადამეტებით ითვისებენ და ამუშავებენ საკოლმეურნეო მიწებს კერძო საჭიროებისათვის. ხულოს რაიონის დიდაჭარის სასოფლო საბჭოს მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ზ. შავაძეს, ა. წულუკიძეს და სხვებს ნორმალურ საკარმიდამო ნაკვეთს გარდა დამატებით მითვისებული აქვთ თითო ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა. ამ კოლმეურნეობაში საერთოდ სუსტად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების გატარებისათვის და სერიოზულ ნაკლოვანებებსაც აქვს ადგილი. სამუშაოზე კოლმეურნეთა მესამედი გამოდის. ამის გამო დაბალია მოსავლიანობა. შარშან ჰექტარზე 15-ის ნაცვლად 13 ცენტნერი სიმინდი მიიღეს, 10-ის ნაცვლად 2,59 ცენტნერი ლობიო, 82-ის ნაცვლად 63 ცენტნერი კარტოფილი. შრომადღეზე კოლმეურნეს ხვდა 0.5 კილოგრამი სიმინდი, 2 კილოგრამი კარტოფილი, ფულად 2 მანეთი და 25 კაპიკი. შრომის დამატებითი ანაზღაურება მხოლოდ 111 კოლმეურნეს ხვდა. ბევრი არც კი იცნობს შრომის დამატებითი ანაზღაურების კანონს. კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი დღემდე შეუვსებელია 70.000 მანეთით. ძალიან მცირეა ინვალიდთა, შრომისუნარდაკარგულთა და მოხუცთა დახმარების ფონდი. კოლმეურნეობას არ შეუსრულებია მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა. საკვების უქონლობისა და მოუვლელობის შედეგად დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. ერთი საფურაჟე ძროხისაგან წლის მანძილზე 540-ის ნაცვლად მიღებულია 252 ლიტრი რძე, ცხვრისაგან—60-ის ნაცვლად მხოლოდ 1,77 ლიტრი. მოუწესრიგებელია მეფრინველეობის ფერმაც. კოლმეურნეობაში არ არის საბავშვო ბაღი, ბაგა, კლუბი, სამკითხველო. მოუვლელია საკოლმეურნეო ინვენტარი. ის ცისქვეშ ჰყრია. სატვირთო ავტომანქანა, რომელიც 5 წლის წინათ შეიძინეს, მხოლოდ შოფრის შემოსავლის წყაროდ არის გადაქცეული. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია (თავმჯდომარე ო. შავაძე). შარშან რევიზია მხოლოდ 2-ჯერ ჩატარდა და ისიც ფორმალურად.

უფრო ცუდ მდგომარეობაა ამავე რაიონის სოფელ ჩაოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში. შარშან იქ გამომუშავებული იყო 14.300 შრომადღე, საიდანაც 1.320 შრომადღე ანუ 9,2 პროცენტი ადმინისტრაციულ აპარატში მომუშავე 6 კაცს დაერიცხა. ძლიერ დაბალია მოსავლიანობა. 10-ის ნაცვლად ჰექტარზე მიიღეს 4 ცენტნერი სიმინდი, 8-ის ნაცვლად 3 ცენტნერი ლობიო, 82-ის ნაცვლად 25 ცენტნერი კარტოფილი. შრომადღეზე განაწილდა 3 მანეთი, 700 გრამი სიმინდი და 90 გრამი კარტოფილი. შარშან 300 შრომადღე მხოლოდ ხუთმა კოლმეურნემ გამოიმუშავა, დანარჩენებს გამომუშავებული აქვთ 26-49 შრომადღე. არ ყოფილა შემთხვევა კოლმეურნეთათვის შრომადღეზე ფერმის პროდუქტები გაენაწილებინოთ, რადგან აპარატზე მეტი ხარჯები გადის, ვიდრე ფერმას შემოსავალი აქვს. შარშან თითო საფურაჟე ძროხისაგან 500-ის ნაცვლად 47 ლიტრი რძე მიიღეს, თხისაგან—75-ის ნაცვლად მხოლოდ 17 ლიტრი. განუყოფელი ფონდი შარშან უნდა შეევსოთ 8.873 მანეთით, მაგრამ დღემდე შეუვსებელია 6.079 მანეთით. შრომის დამატებითი ანაზღაურების კანონს ბრიგადირებიც არ იცნობენ. ეს კანონი დღემდე არც გატარებულა ამ კოლმეურნეობაში, რადგან დანერგილი არ არის შრომის ინდივიდუალური და ჯგუფური სისტემა.

ქედის რაიონის სოფელ აჭყვის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა ყველაზე უფრო მცირეშემოსავლიანია სხვებთან შედარებით. ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 7-ის ნაცვლად 2 ცენტნერი სიმინდი და 6-ის ნაცვლად 4 ცენტნერი თამბაქო. შრომადღეზე განაწილდა 1 მანეთი და 370 გრამი სიმინდი. შრომადღეების 8 პროცენტი ადმინისტრაციულ აპარატს მოხმარდა. შარშანდელი შემოსავლიდან კოლმეურნეებს დღემდე არ მიუღია 6.000-მდე მანეთი. რევიზია ერთხელაც არ მომხდარა. საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია გვერდს უვლის ამ ნაკლოვანებებს. მას ერთხელაც არ განუხილავს შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხი.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 1945 წელს შეადგინა 1.581.981 მანეთი. კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა ჩაისა და ტუნგოს, აგრეთვე ციტრუსების კრეფისა და დამზადების გეგმები. შრომადღეზე განაწილდა 12 მანეთი და 30 კაპიკი ფულად. შრომის დამატებითი ანაზღაურების წესით გაცემულ იქნა 13.411 მანეთი. მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, ამ კოლმეურნეობას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. მისი წევრების დიდი ნაწილი საკარმიდამო ნაკვეთზე მეტ მოსავალს იღებს, ვიდრე კოლმეურნეობიდან. მაგალითად, ხასან ბაჯელიძემ 1945 წელს კოლმეურნეობიდან მიიღო 20 ცენტნერი მარცვლეული და 16.000 მანეთი, საკარმიდამო ნაკვეთიდან კი 24 ცენტნერი მარცვლეული და 40.400 მანეთი; მემედ ხინიკაძემ კოლმეურნეობიდან მიიღო 22 ცენტნერი მარცვლეული და 28.000 მანეთი, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთიდან—23 ცენტნერი მარცვლეული და 52.500 მანეთი. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი უმთავრესად საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობენ.

ბათუმის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 1945 წელს საგრძნობლად შემცირდა როგორც ნათეს-ნარგავთა ფართობები, ისე საკოლმეურნეო შემოსავალი. თუ 1944 წელს სიმინდს ეკავა 72 ჰექტარი, 1945 წელს იგი დასთესეს მხოლოდ 45 ჰექტარზე. ფულადი შემოსავალი შემცირდა 1.108.065 მანეთით, ხოლო ნატურალური—552,01 ცენტნერით.

ამ ნაკლოვანებების მიზეზი ის არის, რომ ყველგან არ იცავენ არტელის სანიმუშო წესდებას, საკარმიდამო ნაკვეთს უცქერიან არა როგორც დამხმარე, არამედ ძირითადი შემოსავლის წყაროს.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცების ამოცანა გვიკარნახებს განუხრელად განვახორციელოთ საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონი—არტელის სტალინური წესდება, რომელიც სწორად ათავსებს კოლმეურნის პირად ინტერესს საზოგადოებრივ ინტერესთან და წარმოადგენს მისი შეძლებული ცხოვრების წყაროს.

ქ. რუსიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვის „ცდკა“ — სსრ კავშირის ჩემპიონი

18 სექტემბერს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე წითელი არმიის ცენტრალური სახლის (მოსკოვი) გუნდის ფეხბურთელებმა ჩაატარეს უკანასკნელი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. მათ წინააღმდეგ თამაშობდა მინსკის „დინამო“.

მატჩის პირველი წუთებიდანვე თამაში მეტად მწვავედ მიმდინარეობდა. თუმცა უპირატესობა მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მოსკოველთა ხელში იყო, მაგრამ მათ მხოლოდ მე-40 წუთზე შესძლეს ანგარიშის გახსნა. 2 წუთის შემდეგ მინსკელებმა გაათანაბრეს ანგარიში და თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1:1. მეორე ტაიმში მოსკოველებმა სტუმრების კარში გაიტანეს კიდევ ორი ბურთი და შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის „ცდკა“-ს გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით 3:1.

ამრიგად, „ცდკა“-მ უკვე დაამთავრა შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე. არმიელმა ფეხბურთელებმა 44 შესაძლებელიდან მოაგროვეს 37 ქულა და მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება.

თბილისის „დინამოს“ მეთოთხმეტე გამარჯვება

გუშინ, 20 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „კრილია სოვეტოვ“-ის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრა მიმდინარეობდა ცოცხალი და დაძაბული ტემპით. მე-3 წუთზე თბილისელი ა. გოგობერიძე ოსტატურად გაუსხლტა მოწინააღმდეგეს, მოატყუა ორი მოსკოველი მცველი და შემდეგ ბურთი გადასცა გ. ანთაძეს, ხოლო ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

ამრიგად, მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 1:0. ეს თბილისის „დინამოს“ მეთოთხმეტე გამარჯვებაა.

„დინამო“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვ“ (კუიბიშევი)

როგორც ცნობილია, პირველი წრის შეხვედრა მოსკოვის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვ“-ის გუნდებს შორის დამთავრდა მოსკოველების სასარგებლოდ ანგარიშით — 8:0. 17 სექტემბერს მოსკოვში აღნიშნული გუნდები მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. მოსკოველებმა კვლავ გამოავლინეს თამაშის მაღალი კლასი და მატჩი მოიგეს ანგარიშით 7:0. ამრიგად, ორივე წრეში ბურთების საერთო შეფარდება აღნიშნულ გუნდებს შორის არის 15:0 მოსკოვის „დინამოს“ სასარგებლოდ.

21 სექტემბრისათვის პირველობის გათამაშებაში მეორე ადგილზე მიდის თბილისის „დინამო“, რომელსაც აქვს 31 ქულა (20 თამაშიდან), ხოლო მესამეზე — მოსკოვის „დინამო“ — 30 ქულა (20 თამაშიდან).

* * *

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი მორიგ შეხვედრას ჩაატარებს თბილისში 25 სექტემბერს მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდთან.

ა. გოგოლაშვილი

საუბარი საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების შესახებ

2. საკავშირო კ. პ. (ბ) წესდება—პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების განხორციელება

საკავშირო კ. პ. (ბ) წესდება იწყება იმის მეცნიერული განსაზღვრით, თუ რას წარმოადგენს ბოლშევიკების პარტია.

მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს ძირითადი მონახაზი პარტიის, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმის შესახებ, ურომლისოდაც პროლეტარიატი ვერ შესძლებს განთავისუფლებას, ძალაუფლების ხელთ აღებას და კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნას კომუნისტურ საზოგადოებად.

ლენინმა და სტალინმა ეს მონახაზი არა მარტო განავითარეს მწყობრ და მთლიან მოძღვრებად, არამედ კიდევაც შექმნეს ახალი ტიპის პარტია, ნამდვილი რევოლუციური პარტია — საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელმაც დიდი განმათავისუფლებელი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ რუსეთში პირველად წარმოიშვა ახალი ტიპის პარტია, რომელიც ძირეულად განსხვავდება II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიებისაგან. XX საუკუნის დამდეგს მუშათა კლასი კაპიტალიზმის დასამხობად, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად წარმოებული უშუალო კლასობრივი ბრძოლების პერიოდში შევიდა. რუსეთი გახდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი.

ლენინმა და სტალინმა შეიმუშავეს ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური პროგრამა, ტაქტიკა და ორგანიზაციული პრინციპები. მათ გვიჩვენეს, რომ კომუნისტური **პარტია არის მუშათა კლასის ნაწილი,** მისი ყველაზე უფრო მოწინავე და შეგნებული ნაწილი.

მუშათა კლასი თავისი შემადგენლობით ერთგვაროვანი როდია, მასში არიან მოწინავე და ჩამორჩენილი ადამიანები, კაპიტალიზმის პირობებში იგი განუწყვეტლივ ივსება გაღატაკებული გლეხებიდან და წვრილი ხელოსნებიდან გამოსული ადამიანებით. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარტიის ცნება განვასხვავოთ კლასის ცნებისაგან. რად გადაიქცეოდა პარტია, მას რომ გაურჩევლად მიეღო თავის რიგებში მუშათა კლასის ყველა წარმომადგენელი? ცხადია, რომ იგი ვერ შესძლებდა მოწინავე რაზმის როლის შესრულებას. მუშათა კლასის აყვანა მისი კლასობრივი ინტერესებისა და ამოცანების შეგნებამდე შეუძლია მხოლოდ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბებულ ყველაზე უფრო მოწინავე, შეგნებული მუშების ორგანიზაციას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „პროლეტართა პარტია, როგორც წინამძღოლთა მებრძოლი ჯგუფი, ჯერ ერთი, ბევრად მცირე უნდა იყვეს პროლეტართა კლასზე თავისი წევრების რაოდენობით; მეორეთ, მაღლა უნდა იდგეს პროლეტართა კლასზე თვისი შეგნებითა და გამოცდილებით; და, მესამეთ, მჭიდრო ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს" (სტალინი. თხზულებანი, ტ. I, გვ. 63).

პარტიას შეუძლია ძალაუფლების ხელში აღებამდეც და გარდამავალ ხანაშიც მუშათა კლასის დიქტატურის დროს სარგებლობდეს განუყოფელი იდეურ-პოლიტიკური გავლენით მშრომელ მასებზე, მაგრამ მას არ შეუძლია ორგანიზაციულად გააერთიანოს ყველა ისინი თავის რიგებში. კომუნისტური პარტია მთლიანად გაითქვიფება მუშათა კლასში მხოლოდ მაშინ, როცა კომუნიზმი აღარ იქნება ბრძოლის ობიექტი და მთელი მუშათა კლასი კომუნისტური გახდება.

პარტია ვერ შეასრულებდა ხალხის მასების პოლიტიკური ბელადის როლს, **იგი მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმი** რომ არ იყოს. შეგნებულობა ორგანიზაციას მოწყვეტილი რამ როდია, არამედ მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული. მხოლოდ საუკეთესო ორგანიზაციის პირობებში, გვასწავლის ლენინი, ჩვენი მორალური ძალა შეიძლება იქცეს მატერიალურ ძალად. შეგნებულობა მჟღავნდება ორგანიზებულობით, ორგანიზების უნარით. მუშათა კლასის მოწინავე რაზმი მხოლოდ ორგანიზებით იღებს ერთიან ნებისყოფას, „და მოწინავე ათასის, ასეული ათასის, მილიონის ეს ერთიანი ნებისყოფა **ხდება** კლასის ნებისყოფად" (ლენინი).

კლასს რომ უხელმძღვანელოს, პარტია ისე უნდა იყოს აგებული, რომ თვითეული მისი ორგანიზაცია და თვითეული მისი წევრი ერთიანი გეგმით მოქმედებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიას არასოდეს არ ექნებოდა ერთიანი ნებისყოფა. იგი ვერ განახორციელებდა თავის წევრთა მოქმედების ერთიანობას.

სწორედ ამით აიხსნება აუცილებლობა ჩვენი პარტიის აგებისა **დემოკრატიული ცენტრალიზმის** საფუძვლებზე, რომელიც აერთებს პარტიის ხელმძღვანელი ცენტრების რკინისებურ დისციპლინასა და ურყევ ავტორიტეტს პარტიული ორგანოების არჩევითობასა და ანგარიშვალდებულებასთან. პარტიული მასების ფართო ინიციატივასა და თვითმოქმედებასთან. იმის მეოხებით, რომ ჩვენი პარტია დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზეა აგებული, მას შეუძლია „ყოველ მომენტში გარდაქმნას თავისი რიგები და ასიათასობით თავის წევრებს მოუყაროს თავი რომელიმე დიდ სამუშაოზე ისე, რომ არევდარევა არ შეიტანოს თავის რიგებში" (სტალინი).

პარტია მხოლოდ ორგანიზებული რაზმი როდია, არამედ **პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა.** პარტიის გარდა მუშათა კლასს აქვს სხვა ორგანიზაციებიც: საბჭოები, პროფკავშირები, კოოპერაცია და ა. შ. თვითეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს, თვითეული გარკვეულ მუშაობას ეწევა. მაგრამ მათი მუშაობა მიმართული უნდა იყოს ერთი საერთო მიზნისაკენ, ერთი საერთო ხაზი უნდა ჰქონდეთ. ამისათვის საჭიროა ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრი.

„სად არის ის ცენტრალური ორგანიზაცია, რომელსაც, აუცილებელი გამოცდილებით აღჭურვილს, არა მარტო აქვს უნარი შეიმუშაოს ეს საერთო ხაზი, არამედ საშუალებაც აქვს, ამისათვის საკმაო ავტორიტეტის გამო, ცხოვრებაში გაატარებინოს ყველა ამ ორგანიზაციას ეს ხაზი, რათა მიღწეულ იქნას ხელმძღვანელობის ერთიანობა და გამოირიცხოს მუშაობის შეფერხების შესაძლებლობა?

ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს პროლეტარიატის პარტია". (ი. სტალინი).

პარტია წარმართავს ყველა ორგანიზაციის მუშაობას მუშათა კლასის დიქტატურის მოსაპოვებლად და განსამტკიცებლად, კომუნიზმის გამარჯვების მისაღწევად; იგი **მუშათა კლასის დიქტატურის იარაღია.**

მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პროლეტარული პარტიის როლი მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, **იზრდება.** მხოლოდ მებრძოლი კომუნისტური პარტიის არსებობას, რომელსაც საკმაო გამოცდილება აქვს იმისათვის, რომ გაერკვიოს რთულ ვითარებაში. და რომელიც საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყოველგვარ წყალქვეშა ქვებს მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, შეუძლია უზრუნველჰყოს სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებითი განვითარება.

საბჭოთა წყობილება წარმოადგენს მშრომელთა სხვადასხვა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელ სისტემას. პარტია, როგორც ავანგარდის ორგანიზაცია, ხელმძღვანელი ძალაა საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში. უმისოდ მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციები ვერ შეასრულებდნენ თავიანთ ისტორიულ ამოცანებს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ძირითადი პირობაა მშრომელთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაყოფიერი მოღვაწეობისა, რომელიც კომუნიზმის აგებისაკენ არის მიმართული.

პარტია თუმცა წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად ხელმძღვანელ ძალას, მაგრამ იგი უშუალოდ არ ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას. პარტიის ხელმძღვანელი როლი და სახელმწიფო ძალაუფლება, ერთი და იგივე როდია. სახელმწიფო, როგორც ორგანიზაცია, მოიცავს მოსახლეობის მთელ მასას და ამასთან სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ ყველა მოქალაქის სავალდებულო მორჩილების წესით. პარტია სახელმწიფოსაგან განსხვავებით მშრომელთა ავანგარდის საზოგადოებრივი, ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა. თავის სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას პარტია ახორციელებს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების საშუალებით, რომლებსაც იგი მიმართულებას აძლევს მუშაობაში და ზრუნავს, რათა პარტიის პოლიტიკურ ხაზს ისინი განუხრელად ახორციელებდნენ პრაქტიკულად. პარტია საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებს ხელმძღვანელობს კომუნისტების მეშვეობით, რომლებიც ამ ორგანიზაციებში მუშაობენ.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი როლი საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია სტალინურ კონსტიტუციაში. კონსტიტუციის 126-ე მუხლის საფუძველზე „ყველაზე უფრო აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის რიგებიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან ერთიანდებიან სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა), რომელიც არის მშრომელთა მოწინავე რაზმი მათს ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და წარმოადგენს ხელმძღვანელ ბირთვს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა".

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ბოლშევიკურ პარტიას სთვლიან თავიანთ მშობლიურ პარტიად, რომელსაც იგინი ნებაყოფლობით ანდობენ თავიანთ ბედს, იციან რა, რომ იგი შესძლებს ხალხის ინტერესების დაცვას. ჩვენი პარტიის მიერ საბჭოთა ხალხის განუყოფელი ხელმძღვანელობა თვით ცხოვრებიდან აღმოცენდა. ყველა ანტიბოლშევიკური პარტია ჩვენს ქვეყანაში დიდიხანია გაკოტრდა, მათი ანტიხალხური არსი განსაკუთრებით ნათელი გახდა 1917 წლის რევოლუციის მსვლელობაში. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციასთან ერთად სსრ კავშირში მოსპობილ იქნა აგრეთვე ყოველივე ნიადაგი, რომელზეც შეეძლოთ არსებობა სხვა პოლიტიკურ პარტიებს.

„სსრ კავშირში არის ნიადაგი მხოლოდ ერთი პარტიისათვის, კომუნისტური პარტიისათვის. სსრ კავშირში არსებობა შეუძლია მხოლოდ ერთ პარტიას—კომუნისტთა პარტიას, რომელიც გაბედულად და ბოლომდე იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ხოლო რომ იგი ამ კლასთა ინტერესებს ცუდად არ იცავს, ამაში არა მგონია შესაძლებელი იყოს რაიმე ეჭვის შეტანა". (ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები", გვ. 651-652).

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა უზრუნველჰყოფს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის ყველაზე უმაღლეს ფორმას—საბჭოთა, სახალხო დემოკრატიას.

უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს პარტიის შესახებ ლენინისა და სტალინის მთელ მოძღვრებას, არის მასებთან კავშირი. **პარტია არის მშრომელთა მილიონიან მასებთან მუშათა კლასის მოწინავე რაზმის კავშირის განხორციელება.**

ჩვენი პარტია ძლიერია იმით, რომ მას მუდამ მჭიდრო კავშირი აქვს ხალხთან. გულისხმიერად უგდებს ყურს მასების ხმას, ყოველთვის ყურადღებას იჩენს მათი საჭიროებებისადმი. იგი არა მარტო ასწავლის, ზრდის მასებს, არამედ თვითონაც სწავლობს მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისაგან. ბოლშევიკები თავიანთ ძალებს პოულობენ მასებთან განუყრელ კავშირში. „და სანამ მათ,—ამბობს ამხანაგი სტალინი,— კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველნი დარჩნენ".

დიდმა სამამულო ომმა განსაკუთრებით ნათლად ცხადჰყო პარტიის ურღვევი კავშირი ხალხთან, კომუნისტებისა და უპარტიოების ერთიანობა. ისინი ერთად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის, ერთად ომობდნენ და სისხლს ღვრიდნენ ფრონტზე ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დიდებისათვის, ერთად სჭედდნენ და გამოსჭედეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მტრებზე.

ბოლოს, საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებაში მტკიცედ არის ჩაწერილი ბოლშევიზმის უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციული დებულება პარტიის რიგების ერთიანობის დაცვის, მისი დარაზმულობის ამაღლების შესახებ, პარტიის პროგრამისა და წესდებისაგან გადახვევებთან შეურიგებელი ბრძოლის შესახებ. **პარტია,**—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—არის **„ნებისყოფის ერთიანობა, რაც შეუთავსებელია ფრაქციების არსებობასთან".** ბოლშევიკური პარტია ძლიერია თავისი შეგნებული დისციპლინით, დარაზმულობით, ნებისყოფის ერთიანობით, მოქმედების ერთიანობით, რაც შეუთავსებელია პარტიული დისციპლინის დარღვევასთან, ფრაქციულ დაჯგუფებებთან და თვალთმაქცობასთან.

ჩვენი პარტია ჰქმნიდა თავის წესდებას, იმუშავებდა თავის ორგანიზაციულ პრინციპებს და დაიცვა ისინი მრავალრიცხოვან მტრებთან, ყველა ჯურის ანტიპარტიულ ჯგუფებთან და მიმდინარეობებთან ბრძოლაში. მათთან ბრძოლაში პარტია ამახვილებდა თავის ორგანიზაციულ იარაღს. ასე, მაგალითად, პარტიის X ყრილობის პერიოდში ოპორტუნისტული ჯგუფების გამთიშველი აქტიობის პასუხად, ყრილობამ ლენინის წინადადებით მიიღო რეზოლუცია „პარტიის ერთიანობის შესახებ". ამ რეზოლუციის ძირითადი დებულებანი შემდგომში შეტანილ იქნა პარტიის წესდებაში.

აწარმოებდა რა შეურიგებელ ბრძოლას ბოლშევიზმის მტრების წინააღმდეგ, პარტიამ განამტკიცა თავისი რიგების ერთიანობა და წარმატებით ასრულებს საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალის როლს. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მოიპოვეს თავისუფლება და ააგეს სოციალისტური საზოგადოება. პარტიამ ღირსეულად გაუძლო განსაცდელს, რაც მას წილად ხვდა სამამულო ომის მკაცრ წლებში. ომის მსვლელობაში ჩვენი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო და უზრუნველჰყო გამარჯვება, რომელმაც გზა გახსნა საბჭოთა ქვეყნის ახალი ძლიერი აღმავლობისაკენ.

ლ. სლეპოვი

„პრავდა".

პარიზის საზავო კონფერენციაზე

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრების საკითხის განხილვა

პარიზი, 17 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.) დღეს პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისია შეუდგა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრების განხილვას. ამ საკითხზე პირველი გამოვიდა იუგოსლავიის წარმომადგენელი ბებლერი.

ბებლერის სიტყვა

ბებლერმა ანალიზი გაუკეთა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დასახელებულ საზღვრებს და მოაგონა კომისიის წევრებს, რომ ავსტრიის 1910 წლის აღწერის ცნობებით, ეგრეწოდებული „კორიდორის" ტერიტორიაზე, რომლის შესახებ ახლა წინადადებას იძლევიან, რათა ის იტალიას გადაეცეს (ლაპარაკია ადრიატიკის სანაპიროზე ტრიესტიდან ტრჟიჩამდე), ცხოვრობდა 9.667 იუგოსლაველი და 704 იტალიელი. ამრიგად, ამ კორიდორის იტალიისათვის გადაცემის ეთნიკური მოსაზრებებით ახსნა არ შეიძლება. მაქნეილი იმოწმებდა ეკონომიურ ფაქტორს და აღნიშნავდა, თითქოს ამ კორიდორის გამოყოფა საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას „ტრიესტის კომუნიკაციების დამოუკიდებლობა", ვინაიდან აქ გადის ერთ-ერთი რკინიგზა, რომელიც ტრიესტს ვენეციასთან აერთებს. საკითხის ასეთი დაყენება უსაფუძვლოა თუნდაც იმიტომ, რომ, 1912 წლის მონაცემებით, ტრიესტის ნავსადგურის საქონელბრუნვის 86 პროცენტი იუგოსლავიის რკინიგზების წილად მოდიოდა და მხოლოდ 3,6 პროცენტი — ტრიესტ-მონფალკონე — უდინე-ვენეციის რკინიგზის წილად. იუგოსლავია ტრიესტის ძირითადი ეკონომიური ზურგია. იუგოსლავიაზე გადის ძირითადი გზები, რაც ტრიესტს აერთებს ცენტრალური ევროპის იმ ქვეყნებთან, რომლებიც ტრიესტის ნავსადგურით სარგებლობენ. ამიტომ მაქნეილის მიერ წამოყენებული მოსაზრება არ შეიძლება დამაჯერებლად იქნას ცნობილი.

შემდეგ ბებლერმა ცხადჰყო, თუ რამდენად ტენდენციურია 1910 წლის აღწერის ცნობები, რომლებსაც ამჟამად იმოწმებენ იმის მომხრენი, რომ დასავლეთ ისტრია შეტანილ იქნას ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის შემადგენლობაში. ამ აღწერის აქ მცხოვრებ მოქალაქეთა ეროვნების გამორკვევისას საფუძვლად დაუდეს საყოველდღეო ენის საკითხი. დასავლეთ ისტრიის გლეხი მოსახლეობა — სლოვენი მოსახლეობა ეკონომიურად დამოკიდებული იყო იტალიელ ბურჟუაზიასა და არისტოკრატიაზე, რომლებიც მიწას ჰფლობდნენ. ამას იტალიელი ექსპერტებიც კი ადასტურებენ. ამ პირობებში ბუნებრივია, რომ ბევრი სლავი აღწერის დროს აცხადებდა, რომ მათი საყოველდღეო ენა იტალიური ენაა. ამის შედეგად აღწერის მონაცემები სრულებით არ შეესაბამებოდა ფაქტიურ ვითარებას.

მაგალითად, სოფელ გუიაში აღწერის მონაცემებით ხორვატები სრულებით არ ირიცხებოდნენ. ხოლო როცა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ დანიშნული კომისია ამ სოფელში ჩავიდა, 4.849 მცხოვრებმა წარადგინა პეტიცია, რომელშიც ისინი თავს ხორვატებად აცხადებენ. დამახასიათებელია, რომ ეს პეტიცია გაქრა ექსპერტთა კომისიის დოკუმენტებიდან.

ბებლერი აღნიშნავს, რომ ერთადერთ სარწმუნოდ შეიძლება ჩაითვალოს ფიუმეს ადრიატიული ინსტიტუტის მიერ 1945 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემები. ამ მონაცემების თანახმად, დასავლეთ ისტრიის ტერიტორიაზე ცხოვრობს 40.229 სლავი და 29.983 იტალიელი, რომელთაგან 48,9 პროცენტი ქალაქებშია. ამრიგად, კვლავ დოკუმენტალურად დადასტურდა, რომ იტალიელი მოსახლეობა შეადგენს აქ უმცირესობას, რომელიც პატარ-პატარა ეთნიკური კუნძულების სახით თავმოყრილია ქალაქებში.

ბებლერი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ტრიესტის ეკონომიურ ბაზად მივიჩნიოთ ის რაიონები, რომლებიც თავისუფალი ტერიტორიის შემადგენლობაში შეაქვთ. მათ არ შეუძლიათ მოამარაგონ ტრიესტი ნედლეულითა და სურსათით, აქ არ არის ზედმეტი პირუტყვი, ხილი, ტყეები. ტრიესტი დაკავშირებული არ არის ამ რაიონების სამრეწველო საწარმოებთან. დასავლეთ ისტრიის ფერდობზე აგებენ მხოლოდ ხის სამეთევზეო ნავებს, რომლებიც საჭიროა არა ტრიესტისათვის, არამედ ისტრიისა და დალმაციის მეთევზეებისათვის. მარილი, რომელსაც დასავლეთ ისტრიის სარეწებში იღებენ, საღდება არა ტრიესტში, არამედ იუგოსლავიაში. მაშ როგორია ის ჭეშმარიტი მიზეზები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ისინი, ვინც დაჟინებით მოითხოვს დასავლეთ ისტრიის გამოყოფას იუგოსლავიისაგან და მის შეერთებას ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიისათვის? ამ კითხვაზე, ბებლერის აზრით, პასუხს იძლევა მაქნეილის სიტყვები იმის შესახებ, რომ უნდა გამოინახოს სამი პრობლემის — ეკონომიურის, ეთნიკურისა და პოლიტიკურის — გადაჭრა. მთელი საქმე სწორედ პოლიტიკურ პრობლემაშია. ამაში გვარწმუნებს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის იმ პროექტების გაცნობა, რომლებიც განუსაზღვრელ დიქტატორულ რწმუნებებს აძლევენ გუბერნატორს, ანიჭებენ მას უფლებას გამოაცხადოს საალყო წესები, ითვალისწინებენ ტრიესტის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების ყოფნის შესაძლებლობას. ვის წინააღმდეგ არის მიმართული მთელი ეს ზომები? ცხადია, რომელიღაც მტრის წინააღმდეგ. თუ ვივარაუდებთ, რომ მტრად იუგოსლავიას გულისხმობენ, მაშინ ამ ღონისძიებათა მთელი აზრი ცხადი და ლოგიკური გახდება. თავისუფალი ტერიტორია ტრიესტი საჭიროა როგორც პლაცდარმი არმიის გასაშლელად, ხოლო ნავსადგური — როგორც ბაზა ჯარის გადასხდომისათვის.

ყოველივე ეს ლოგიკურია, მაგრამ საწყენია ჩვენთვის, ამბობს ბებლერი. ჩვენ ზოგჯერ გვეუბნებიან, რომ მკვახედ გამოვთქვამთ აზრებს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია სხვანაირად ვილაპარაკოთ, როცა წინადადებას იძლევიან იუგოსლავიის ათასობით ვაჟიშვილი და ქალიშვილი მოჰკვეთონ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ იმისათვის, რომ გუშინდელ აგრესორს მისთვის სტრატეგიულად ხელსაყრელი ახალი საზღვარი მიეცეს.

ბებლერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანალის დაბლობის მთელ მანძილზე ადრიატიკის სანაპირომდე საფრანგეთის ხაზი სტრატეგიულ უპირატესობას აძლევს იტალიას. ჩვენ წინადადებას გვაძლევენ ხელი მოვაწეროთ ზავის ასეთ პირობებს, ამბობს იგი, რომლებიც ჩვენთვის თითქოს სასჯელი იქნება რაღაც დანაშაულის გამო. იუგოსლავიის ხალხი ვერ დაეთანხმება ზავის ასეთ პირობებს. იგი ვერ შესძლებს იმის გაგებას, თუ რატომ ხდება, რომ მისმა არმიამ, რომელმაც სამშობლო მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში სისხლი დაღვარა და სახელი მოიხვეჭა, იუგოსლავიის ძველისძველი ტერიტორია უნდა დასტოვოს.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციამ წინადადება წამოაყენა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია, რისთვისაც მას შეუერთდეს ტრიესტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ძველისძველი სლავური ტერიტორიები. ეს წინადადება სამართლიან პროტესტებს იწვევს იუგოსლავიაში. იუგოსლავიის დელეგაციის წარმომადგენლები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი წინადადება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მხოლოდ იმის ცდა, რომ დასაჯონ იუგოსლავია განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის.

დღეს სიტყვით გამოვიდა სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელი ჯორდანი. სიტყვიერად იგი აღტაცებას გამოსთქვამდა „იუგოსლავიის დიდი ბრძოლის გამო, რომელსაც იგი ამ კომისიაში ეწევა". საქმით კი კვლავ მოითხოვდა იუგოსლავიისათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების მოწყვეტას.

ჯორდანი მაღალფარდოვნად და მოქარგულად ლაპარაკობდა. იგი იმოწმებდა ვიღაც ცინიკოსის განცხადებას, რომელსაც ერთხელ მშვიდობა განუმარტავს, როგორც „ისეთი რამ, რაც შეავსებს შუალედებს ომებს შორის", და სთქვა, იმედი მაქვს საკადრისი პასუხი გავეც ასეთ ცინიკოსებსო. მაგრამ ძნელი შესამჩნევი არ იყო, რომ სამხრეთ აფრიკის დელეგატის წინადადება სწორედ ასეთი ცინიზმის გამოხატულებას წარმოადგენდა. ჯორდანს არ შეეძლო უარეყო ის აშკარა ფაქტი, რომ სამხრეთ აფრიკის დელეგაცია წინადადებას იძლევა ჩამოჰგლიჯონ იუგოსლავიას ძველისძველი სლავური მიწები. მიუხედავად ამისა, იგი დაჟინებით თავისას გაიძახოდა და აცხადებდა, „მკაცრი იურიდიული ფაქტი" ახლა ის არის, რომ იულიის კრაინა იტალიას ეკუთვნოდა... უკანასკნელი 25 წლის განმავლობაშიო. ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, სამართლის უცნაური განმარტებაა!

სამხრეთ აფრიკის დელეგატის წინადადებას მხარი დაუჭირა ჰოლანდიის წარმომადგენელმა, რომელმაც ქათინაურებით შეამკო სამხრეთ აფრიკის კავშირი და აცხადებდა, რომ ამ დელეგაციის წინადადება „კონსტრუქციული, ობიექტური და დამოუკიდებელიაო". ნამდვილად კი ეს წინადადება კონსტრუქციული არ არის, ვინაიდან კი არ ამარტივებს, არამედ ართულებს ისტრიაში არსებულ ვითარებას, ობიექტური არ არის, ვინაიდან იტალიის აგრესიული წრეების ინტერესებიდან გამოდის, ხოლო რაც შეეხება დამოუკიდებლობას, უკეთესია ამაზე არაფერი ითქვას...

ჰოლანდიის წარმომადგენელი უგულებელყოფდა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და ამტკიცებდა, თითქოს ის ტერიტორიები, რომელთა შესახებაც სამხრეთ აფრიკის დელეგაცია წინადადებას იძლევა, რომ ისინი იუგოსლავიას წაერთვას, „უდავოდ იტალიური ხასიათის ოლქს" წარმოადგენენ. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ეს ტერიტორიები შეტანილ იქნას ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის შემადგენლობაში.

ბულგარეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში

პარიზი, 17 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.). დღეს ბულგარეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის მეორე მუხლის განხილვისას ავსტრალიის დელეგატმა ჰოდსონმა კვლავ წამოაყენა შესწორება ეგრეწოდებულ „ადამიანის უფლებათა" შესახებ. ეს შესწორება უკვე განხილულ იქნა სხვა კომისიებში და ყველგან უარყოფილ იქნა, როგორც უსარგებლო, რომელსაც ზედმეტი აბნეულობა შეაქვს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ შემუშავებულ ხელშეკრულებათა პროექტების სავსებით ნათელ ფორმულირებებში.

ბულგარეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის წევრებშიც ავსტრალიის შესწორებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ამ შესწორების კრიტიკით გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრი ლიტვის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი როტომსკისი.

როტომსკისის განცხადება

ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის მეორე მუხლი, სთქვა როტომსკისმა, ბულგარეთს ავალებს მიიღოს იმის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომები, რომ მის იურისდიქციაში მყოფი პირები, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა, სარგებლობდნენ ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით, მათ შორის სიტყვის, ბეჭდვისა და გამოცემათა, რელიგიური კულტის, პოლიტიკური რწმენისა და საჯარო კრებების თავისუფლებით.

ყოფილ მტრულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულებაში ასეთი მუხლის შეტანის საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ ომის დროს ბულგარეთში, ისევე როგორც გერმანიასთან კავშირში მყოფ სხვა ქვეყნებში, ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში შემოღებულ იქნა მთელი რიგი დისკრიმინაციული კანონები, რომლებიც არსებითად ზღუდავდნენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად უფლებებს.

მაგრამ ბულგარელმა ხალხმა ბოლო მოუღო ფაშისტურ რეჟიმს თავის ქვეყანაში. ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ იქ შექმნილი დემოკრატიული მთავრობა არ დაელოდა დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების დადებას და მაშინვე შეუდგა ადამიანის ძირითად უფლებათა დამთრგუნავი ფაშისტური კანონების გაუქმებას. მან გააუქმა ე. წ. კანონი „ერის დაცვის შესახებ", რომელიც თავისი არსით ანტიდემოკრატიული კანონი იყო; გააუქმა ყველა რასობრივი და სხვა დისკრიმინაციული კანონები. გამოიცა მთელი რიგი ახალი კანონები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ დემოკრატიულ თავისუფლებებსა და ხალხის უფლებებს.

ბულგარეთის განთავისუფლების დროიდან გასულმა ორ წელიწადზე მეტმა ხანმა საკმაოდ ცხადჰყო, რომ ბულგარელმა ხალხმა თავისი სამამულო ფრონტის მთავრობის ხელმძღვანელობით უკვე ბევრი რამ გააკეთა თავისი ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის. ბულგარელი ხალხის ერთსულოვანი მონაწილეობა ამასწინათ შემდგარ რეფერენდუმში, აგრეთვე წესრიგი და თავისუფლება, რომლითაც ჩაიარა ამ რეფერენდუმმა, რამაც რესპუბლიკის რეჟიმი დაამყარა, მოწმობს ბულგარეთის დემოკრატიული განვითარების წარმატებებს.

მაშასადამე, ავსტრალიის დელეგაციის მიერ წამოყენებული შესწორება ზედმეტია. როგორც ცნობილია, [illegible] ასეთივე შესწორებანი სხვა კომისიებშიც შემოჰქონდა, და ეს შესწორებანი ყველა უარყოფილ იქნა, როგორც ზედმეტი. მაგალითად, უნგრეთის ტერიტორიულ და პოლიტიკურ საკითხთა კომისიაში ავსტრალიის ამ შესწორებამ მხოლოდ ერთი ხმა მიიღო, და ისიც თვით ამ შესწორების ავტორის ეკუთვნოდა. შეიძლებოდა მოლოდინი გვქონოდა, რომ ავსტრალიის დელეგაცია მომავალში გაითვალისწინებდა საზავო კონფერენციის დელეგაციათა დამოკიდებულებას ამგვარი შესწორებებისადმი, მოხსნიდა ამ შესწორებას ჩვენს კომისიაში განხილვიდან და ამით გვიხსნიდა დროის უნაყოფოდ დახარჯვისაგან.

მაგრამ იგი ასე არ მოიქცა. ამიტომ იძულებული ვართ ერთხელ კიდევ მივუთითოთ, რომ ავსტრალიის მიერ წამოყენებული შესწორება ახალს არაფერს მატებს ჩვენს მიერ განსახილველი ხელშეკრულების მეორე მუხლს, ხოლო არსებითად იწვევს ბულგარეთის რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებში ჩარევას, რაც საჭირო არ არის. ავსტრალიის დელეგაცია ცდილობს თავს მოახვიოს ბულგარელ ხალხს რაღაც ზეკანონი, რომელზეც დამოკიდებული უნდა იქნეს ამ ქვეყნის დანარჩენი კანონები. ცხადია, რომ ამგვარი წინადადების მიღება ბულგარეთის სუვერენული სახელმწიფოს უფლებათა სერიოზული შელახვა იქნება.

ამავე დროს კი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინადადება, რომელიც ბულგარეთს ავალებს „მიიღოს იმის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომები, რომ მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა, სარგებლობდეს ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით", სავსებით საკმაოდ უზრუნველყოფს საქმის არსს ბულგარეთის სუვერენულ უფლებებში ზედმეტი ჩარევის გარეშე.

ამიტომ საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგია ავსტრალიის შესწორებისა.

საბჭოთა დელეგატის თვალსაზრისს მხარი დაუჭირეს იუგოსლავიის რესპუბლიკის და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლებმა. ავსტრალიის დელეგატი დარწმუნდა, რომ მისმა უსარგებლო შესწორებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, და მოხსნა იგი.

მეორე მუხლის შესწორება წამოაყენა აგრეთვე დიდი ბრიტანეთის დელეგატმა ჯებმა. ეს შესწორება ეხებოდა ბულგარეთში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებათა დაცვას. ასეთივე შესწორება დიდი ბრიტანეთის დელეგატმა სხვა კომისიებშიც წამოაყენა.

ბრიტანეთის შესწორების გამო სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა დელეგატმა ნ. ნოვიკოვმა. მან აღნიშნა, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა, რაზედაც ლაპარაკია ბრიტანეთის შესწორებაში, საკმაოდ სრულად არის ასახული საზავო ხელშეკრულების პროექტით.

— როგორც ცნობილია, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მონაწილეებმა ამის თაობაზე სავსებით ნათელი და შეთანხმებული გადაწყვეტილება გამოიტანეს — განაცხადა ნ. ნოვიკოვმა. — შესწორება, რომელიც აქ ჯებმა შემოიტანა, სავსებით ეწინააღმდეგება მინისტრების საბჭოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას და კი არ აუმჯობესებს საზავო ხელშეკრულების პროექტს, არამედ აუარესებს მას, რადგან ზედმეტი აბნეულობა შეაქვს.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატის წინადადებით კომისიამ გადადო ბრიტანეთის შესწორების განხილვა და გადაწყვიტა აუწყოს ეს ბულგარეთის დელეგაციას, რათა ამ უკანასკნელს შესაძლებლობა მიეცეს წარმოადგინოს ამ შესწორების შესახებ თავისი მოსაზრებანი.

შემდეგ კომისიამ ერთსულოვნად მოიწონა მთელი რიგი მომდევნო მუხლები და გადაიდო ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის დასკვნითი დადგენილებების განხილვა.

ამ კარის შესახებ ავსტრალიის დელეგატმა კვლავ წამოაყენა მორიგი შესწორება. მან წარმოსთქვა ერთად გაჭიანურებული სიტყვა მის მიერ წამოყენებული შესწორების ღირსებათა შესახებ, ხოლო დასასრულ განაცხადა, ვინაიდან მხარდამჭერის იმედი არა მაქვს, ახლავე ვხსნი ჩემს შესწორებასო.

რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისიაში

პარიზი, 17 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.). ბალკანეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისიამ დღეს განიხილა ინგლისის წინადადება ნაოსნობის შესახებ, რომლის მიზანიც იყო რუმინეთში უცხოელ გემთმფლობელთათვის განსაკუთრებით პრივილეგიური პირობების უზრუნველყოფა. საკითხი გადაეცა ქვეკომისიას. მთელი რიგი პუნქტები ინგლისის წინადადებისა, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა პრეტენზიებს რუმინეთისადმი, უარყოფილ იქნა. შემდეგ განხილულ იქნა და, მთელი რიგი დელეგაციების (სსრ კავშირის, ბელორუსიის სსრ, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის) მიერ გამოთქმულ საწინააღმდეგო მოსაზრებათა მიუხედავად, მიღებულ იქნა ინგლისის წინადადება დაზღვევის საქმის შესახებ, რაც უცხოეთის სადაზღვევო საზოგადოებებს რუმინეთში ზოგიერთ უპირატესობასა და შეღავათს ანიჭებს.

იტალიასთან საზავო ხელშეკრულების სამხედრო კომისიის სხდომა

პარიზი, 17 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.). დღეს მუშაობას განაგრძობდა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების სამხედრო კომისია. განხილულ იქნა სამხრეთ აფრიკის დელეგაციის მიერ წამოყენებული მთელი რიგი შესწორებანი. ყველა ეს შესწორება მიმართული იყო მინისტრების საბჭოს მიერ მიღებულ სამხედრო შეზღუდვათა შერბილებისაკენ. ყველა შესწორება უარყოფილ იქნა კომისიის წევრთა ხმის უდიდესი უმრავლესობით.

უნგრეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში

პარიზი, 18 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.). უნგრეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის წინა სხდომაზე ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა კლემენტისმა წინადადება შეიტანა ჩართულ იქნას უნგრეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტში ახალი მუხლი, რომელიც ნებას დართავს ჩეხოსლოვაკიას გადაასახლოს უნგრელი წარმოშობის 200 ათასზე მეტი მცხოვრები თავისი ტერიტორიიდან უნგრეთის ტერიტორიაზე. ჩეხოსლოვაკიის დელეგატის წინადადება ითვალისწინებს, რომ უნგრეთი ვალდებული იქნება მიიღოს ეს პირები თავის ტერიტორია-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

პარიზის საზავო კონფერენციაზე

ზე და ჩასთვალოს ისინი თავის მოქალაქეებად.

ამასთან დაკავშირებით წევრებმა ისურვეს უნგრეთის დელეგაციის თვალსაზრისის მოსმენა.

დღეს კომისიამ მოუსმინა უნგრეთის წარმომადგენელს მაჯაკ საგადის, რომელიც გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის წინადადების წინააღმდეგ.

• • •

დღეს ძირითადად დამთავრდა ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების ყველა მუხლის განხილვა, რომლებიც ბულგარეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიას უნდა განეხილა.

მაგრამ ორი მუხლის შესახებ კომისიას ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება. პირველი მათგანი ეხება საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვრის გამორკვევას. როგორც უკვე გამოცხადებული იყო, საბერძნეთის დელეგაციამ შეიტანა ამ მუხლის შესწორება. შესწორება განსახილველად გადაეცა სამხედრო კომისიას. დასკვნის შემდეგ, რომელსაც გამოიტანს ეს კომისია, მუხლს კენჭს უყრიან.

კომისიას აგრეთვე ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება ახალი მუხლის შესახებ, რომელიც წამოაყენა დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ და რომელიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას.

• • •

სამხედრო კომისიის სხდომაზე დღეს ერთსულოვნად იქნა უარყოფილი სამხრეთ-აფრიკის კავშირის დელეგატის მიერ შეტანილი შესწორებანი იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გადიდების შესახებ.

იუგოსლავიისა და ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრის საკითხის განხილვა

პარიზი, 18 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისია განაგრძობს იუგოსლავიისა და ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრის განხილვას.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წარმომადგენელმა სეკანინოვამ აღნიშნა, რომ ამ საკითხის არასწორი გადაწყვეტა მომავალში კონფლიქტებს გამოიწვევს. მან განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია წინააღმდეგია ბრაზილიისა და სამხრეთ-აფრიკის შესწორებებისა. ბელორუსიის დელეგაციის მეთაურმა კისელიოვმა გამოსთქვა აზრი ტრიესტიდან იტალიისაკენ კორიდორის შექმნის წინააღმდეგ და დასავლეთ ისტრიის რაიონების თავისუფალი ტერიტორიის შემადგენლობაში შეტანის წინააღმდეგ.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ იტალიამ დაიწიოს თავის ეროვნულ, ეთნიკურ და ეკონომიურ საზღვრებში და მისცეს იულიის კრაინა მისი ცენტრით—ტრიესტით ხალხს, რომელიც მასში ცხოვრობს და მუშაობს. ასეთი გადაწყვეტილება კანონიერი და ბუნებრივი იქნებოდა. მაგრამ,—ამბობს კისელიოვი, — ვიღებ რა მხედველობაში კონფერენციაზე შექმნილ ვითარებას, წინადადება შემომაქვს განხილულ და მიღებულ იქნას ბელორუსიის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი საზღვარი იუგოსლავიასა და ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიას შუა.

რენგანადანმა (ინდოეთი) განაცხადა, რომ ინდოეთის დელეგაცია ხმას მისცემს ყველა შესწორების წინააღმდეგ და მხარს დაუჭერს წინადადებებს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრის შესახებ, რომელთაც შეიცავს საზავო ხელშეკრულების პროექტი.

იუგოსლავიის დელეგატმა ლეონტიჩმა მიუთითა იმაზე, რომ ტრიესტის კორიდორის პროექტი ემყარება არა ეკონომიურ, არამედ სტრატეგიულ მოსაზრებებს. ეს პროექტი ტრიესტს გადააქცევს ტრამპლინად იუგოსლავიაზე შესაძლო თავდასხმისათვის. რათა თავიდან იქნას აცილებული იმ ექსპერიმენტის გამეორება, როგორიც იყო დანციგის კორიდორი, უარი უნდა განვაცხადოთ ტრიესტის კორიდორის შექმნაზე.

დასასრულ, იუგოსლავიის წარმომადგენელმა მოაგონა კომისიის წევრებს იუგოსლაველი ხალხის გმირული ბრძოლის ისტორია. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა ისტორიისა და მომავალ თაობათა წინაშე,—ხაზგასმით აღნიშნა იუგოსლავიის დელეგატმა. ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას მათი შეცდომებისათვის, ვინც ცდილობს კორიდორის შექმნას იულიის კრაინის ტერიტორიაზე.

პოლონეთის წარმომადგენელმა გააფრთხილა კომისია, თუ რამდენად სახიფათოა თვალსაზრისი, რომელსაც იცავს ტრიესტის საკითხში სამხრეთ-აფრიკის დელეგაცია. ეს თვალსაზრისი მდგომარეობს სტატუსქვოს (შექმნილი მდგომარეობის) შენარჩუნებაში. ასეთი თვალსაზრისი გამოიწვევს ყოველგვარ ისტორიული უსამართლობის ლეგალიზაციას.

პოლონეთის დელეგაციამ დაიცვა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრის ბელორუსიის ხაზი.

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრების შესახებ

პარიზი, 19, სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიამ დაამთავრა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრების საკითხის განხილვა. კამათში პირველი გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის წარმომადგენელი ვიშინსკი, რომელმაც დამაჯერებლად დაამტკიცა სამხრეთ აფრიკისა და ზოგი სხვა დელეგაციის დაუსაბუთებელი მოთხოვნა ჩამოეჭრას იუგოსლავიას ძველისძველი სლავური მიწები. მან ცხადჰყო იმ ცდების მთელი უსუსურობა, რომლითაც სურდათ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის შექმნის შესახებ კომპრომისული გადაწყვეტილება წარმოედგინათ, როგორც სამართლიანობის აქტი.

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის განხილვა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრების შესახებ საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა. აზრი გამოსთქვეს მთელმა რიგმა დელეგაციებმა. მგონია, იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის წევრების ნახევარმა აქ გამოსთქვა თავისი თვალსაზრისი, თავისი მოსაზრებანი და ამრიგად თავისი წვლილი შეიტანა იმ საერთო ღონისძიებებში, რომლებსაც აქ ვღებულობთ იმისათვის, რომ გამონახოს ამ მართლაც ძნელი საკითხის სამართლიანი და შეთანხმებული გადაწყვეტილება.

ამოცანას, რომელიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, შეიძლება ეწოდოს ისტორიული ამოცანა, ვინაიდან ჩვენ ვიყოფებით ახალი სახელმწიფოს წარმოშობის წინაშე, რომლის ფარგლებშიც მშვიდობიანად უნდა იცხოვრონ, ითანამშრომლონ და თავიანთი მომავლისათვის იბრძოლონ არა ერთი, არამედ რამდენიმე ეროვნების ადამიანებმა. კონფერენციის ამოცანაა გაუადვილოს ტრიესტის ხალხს შემოქმედებითი მუშაობა. მომავალ თავისუფალ ტერიტორიაზე უნდა იცხოვრონ და იმუშაონ თავისუფალმა მოქალაქეებმა — ძმებმა, რომელთაც წინაშე უნდა იდგეს ერთი ამოცანა — მეგობრულ და ამხანაგური მუშაობით, დიდი და პატარა საქმეები შრომით არა მარტო ჩაუყარონ საფუძვლები თავიანთ მშვიდობიან და ძმურ თანამშრომლობას, არამედ ახალი ქალაქის მაღალი გალავანიც აგონ. აგებულ იქნება ახალი ქალაქი, ახალი სახელმწიფო. ჩვენ უნდა ვისურვოთ, რომ ეს იყოს ხალხთა მეგობრობის სახელმწიფო, რაზედაც ოცნებობდა თავის წიგნში „მზის სახელმწიფო" ცნობილი იტალიელი ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე თომა კამპანელა.

სხვადასხვა დელეგაციების მიერ აქ მოყვანილი მოსაზრებანი სხვადასხვანაირი და შინაარსით მდიდარია. სსრ კავშირის დელეგაციამ ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ მან დიდი ყურადღებით მოისმინა ეს შენიშვნები და მიაჩნია, რომ ეს შენიშვნები გათვალისწინებულ უნდა იქნან ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრების საკითხის გადაჭრისას, თუ მართლაც არა სიტყვიერად, არამედ ნამდვილად მივისწრაფვით იმ ამოცანის გადაჭრისაკენ, რისთვისაც ამდენი ღონისძიება დახარჯა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ.

თვალსაზრისები, რომლებსაც იცავდნენ სხვადასხვა დელეგაციები, ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჭეშმარიტება წარმოიშობა აზრთა წინააღმდეგობიდან. ჩვენი ამოცანა — იმ ადამიანების ამოცანაა, რომლებმაც საკმაოდ ბევრი იშრომეს ტრიესტის პრობლემის გადაჭრაზე სხვა პირობებში და მივიდნენ შეთანხმებულ გადაწყვეტილებამდე (მე ვლაპარაკობ ოთხი დიდი სახელმწიფოს დელეგაციებზე), ყურადღებით მოეკიდონ იმას, რაც აქ ითქვა არა იმისათვის, რომ შეარყიონ მიღებული გადაწყვეტილება, არამედ იმისათვის, რომ შეამოწმონ, რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება და ხომ არ არის საჭირო რამე შეთანხმებული ცვლილებანი ან შესწორებანი. აი რატომ უნდა გავუკეთოთ ანალიზი იმ გამოსვლებს, რომლებსაც აქ ჰქონდა ადგილი.

უსამართლო საქმის დამცველები

მეფიქრობ, ნება მომეცემა შევჩერდე ზოგიერთ აქ წარმოთქმულ მოსაზრებებზე, განსაკუთრებით იმათზე, რომლებიც, საბჭოთა დელეგაციის აზრით, მცდარია. უწინარეს ყოვლისა, უნდა შევჩერდე სამხრეთ-აფრიკის დელეგატის გამოსვლებზე.

სამხრეთ-აფრიკის დელეგატი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ტრიესტის გარშემო მდებარე რაიონები სლავური მიწები არ არის. სამხრეთ აფრიკის დელეგატის არგუმენტაცია, მართალია, არაფერ ახალს არ წარმოადგენს იმასთან შედარებით, რაც აქ გამოსთქვა მანამდე ზოგიერთმა დელეგატმა, რომლებიც გამოდიოდნენ იუგოსლავიის პროექტისა და ეგრეთწოდებული ბელორუსიის შესწორების წინააღმდეგ. იგი იცავდა იმ ხაზს, რომელსაც ოდესღაც იცავდა ბრიტანეთის დელეგაცია, მაგრამ რომელიც ამჟამად უარყოფილია, მიტოვებულია თავისი უწინდელი დამცველების მიერ, ვინაიდან ბრიტანეთის დელეგაცია ახლა იცავს არა იმ ხაზს, რომელიც მან თავდაპირველად წარმოადგინა და რომლისთვისაც შეიძლებოდა გვეწოდებინა ბრიტანეთის ხაზი, არამედ სხვა ხაზს, რომელსაც აქ პირობითად საფრანგეთის ხაზს უწოდებენ.

მე აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რა არასახარბიელოა იმ ადამიანების ბედი, რომლებიც კისრულობენ დაიცვან მთავარი დამცველებისაგან მიტოვებული პოზიცია. ასეთი პოზიციის შენარჩუნება, როგორც ომებისა და საზავო კონფერენციების ისტორია გვასწავლის, ძალიან ძნელია, და მე ვფიქრობ შეუძლებელია.

ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მინისტრების საბჭოში წარმოდგენილი იყო რამდენიმე ხაზი. მათ შორის ამერიკისა და ბრიტანეთის ხაზები, მაგრამ ეს ხაზები უარყოფილი, მიტოვებულია მათი წარმომდგენი დელეგაციების მიერ. მაგრამ არაფერგარეში მიდის კიდევ ერთი დელეგაცია — სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაცია, რომელიც დაჟინებით ტკეპნის მუშაობის უკვე განვლილ ეტაპებს და ცდილობს გააცოცხლოს ის, რაც უკვე მკვდარია. დღემდე ეს არ მოხერხდა, და საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ ეს არც ახლა მოხერხდება იმ მოსაზრებებით, რომლებზედაც მე ქვემოთ ვილაპარაკებ.

ბ-მა ჯორდანმა მხედველობიდან გაუშვა ის გარემოება, რომ ბრიტანეთის დელეგაციის წარმომადგენელმა მაკნეილმა საფრანგეთის ხაზს სამართლიანი უწოდა, არ დაეთანხმა რა ჩემს მიერ მიცემულ შეფასებას, რომ ეს მხოლოდ სამართლიანობის მინიმუმია. რა თქმა უნდა, სამართლიანობის ცნება შედარებითია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მაკნეილი უპირატესობას ანიჭებს საფრანგეთის ხაზს ბრიტანეთის თავდაპირველ ხაზთან შედარებით. ამიტომ, არ შეიძლება ახლა მოვიშველიოთ ბრიტანეთის ექსპერტების აზრი, რომელიც მათ წინათ გამოსთქვეს, როგორც ამას სჩადის სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელი; ახლა ამ ექსპერტებმა უარი სთქვეს თავიანთ წინანდელ პოზიციაზე, რადგან არ შეიძლება ორი საწინააღმდეგო ხაზს ერთნაირად სამართლიანი ეწოდოს. ახლა დიდი ბრიტანეთის დელეგაციას სამართლიანად მიაჩნია არა ბრიტანეთის, არამედ საფრანგეთის ხაზი. რა თქმა უნდა, ბ-ნ ჯორდანს შეუძლია დაიცვას ბრიტანეთის ხაზი, ჩასთვალოს იგი სამართლიანად, მაგრამ მას უკვე აღარ შეუძლია მოიშველიოს არც ბრიტანეთის ექსპერტები და არც ბრიტანეთის დელეგაცია, რომლებმაც უკვე უარი სთქვეს ამ ხაზისათვის მხარდაჭერაზე. ეს უკვე განვლილი ეტაპია. სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაცია ამაოდ ცდილობს უკან დაგვაბრუნოს.

როგორღა არის საქმე არსებითად? ნამდვილად მართალი იყო თუ არა ბ-ნი ჯორდანი, რომელმაც აქ სამხრეთ აფრიკის დელეგაციის სახელით განაცხადა, რომ 75 პროცენტი იმ რაიონისა, რომელიც გარს არტყია ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიას, როგორც იგი დაგეგმილია მინისტრთა საბჭოს მიერ, არის იტალიური? ეს განცხადება გაბათილებულია ფაქტებით. საკმარისი იყო გაგვეხსენებინა, რომ 10 სექტემბერს იტალიის დელეგაციამ გაავრცელა აქ თავისი რუკა, სადაც ისტრიის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებით უნდა გადაეცეს იუგოსლავიას, შეღებილია ყვითლად; ამ რუკიდან სჩანს, რომ ამ ტერიტორიაზე, თუ კი მიღებულ იქნება საფრანგეთის ხაზი, იცხოვრებს 377 ათასი სლავი 1910 წლის აღწერის მასალებით, და 302 ათასი 1921 წლის აღწერის მასალებით, ხოლო შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით იქნებიან იტალიელები, რომლებიც მოსახლეობენ ზღვისპირა ქალაქებში. შეიძლება თუ არა ვუწოდოთ ამ ტერიტორიას იტალიური, როგორც ამას სჩადის სამხრეთ აფრიკის დელეგატი? ცხადია, რომ არა. ხოლო სამხრეთ აფრიკის დელეგატი წინადადებას იძლევა აღნიშნული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი იტალიას გადაეცეს.

ამრიგად, სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენლის მტკიცება გაბათილებულია იტალიის მასალებითაც კი. აღარას ვამბობ იმაზე, რომ 1945 წლის აღწერის მასალები კიდევ უფრო დამაჯერებელ ეთნიკურ დახასიათებას იძლევიან, რომელიც უარჰყოფს ამ უსაფუძვლო მტკიცებას. ამ აღწერის მასალებით, იტალიელი მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენს მარტო 8 კომუნაში 43-დან და არა 16-ში, როგორც ეს აღნიშნული იყო 1910 წლის აღწერის მასალებში.

1945 წლის აღწერით დადგენილია, რომ 27 კომუნაში ცხოვრობდა 157 ათასი ხორვატი და სლოვენი, ხოლო 10.500 იტალიელი. განა ეს იძლევა საფუძველს უარვყოთ იუგოსლავიის დელეგაციის მტკიცება, რომ ეს ტერიტორია სლავურია? განა ვინმემ მოიყვანა აქ მასალები, რომლებსაც ასე თუ ისე შეეძლოთ გაებათილებინათ 1945 წლის აღწერის მასალები? ვინ დაამტკიცა აქ, რომ ამ აღწერის მასალები სწორი არ არის? ვინ დაგვიმტკიცა, რომ 1910 და 1921 წლების აღწერები უფრო ავტორიტეტულია, უფრო დასაბუთებულია? არავის ეს არ დაუმტკიცებია. აქ ლაპარაკობენ, რომ 1910 წლის აღწერა, ავსტრიის მიერ ჩატარებული აღწერა, სწორია, ხოლო 1945 წლის აღწერა, რომელიც სხვაგვარ პირობებში ჩატარებული, ვიდრე იყო ის პირობები, რომლებიც ახასიათებდნენ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის მმართველობის მეთოდებს, სწორი არ არის. ეს სავსებით უსაფუძვლო განცხადებაა და მას არ შეიძლება სერიოზულად მოვეკიდოთ.

რაპალოს ხელშეკრულება და ისტრია

სამხრეთ აფრიკის დელეგაციას იურიდიულ ფაქტად მიაჩნია, რომ იულიის კრაინა იტალიას 25 წლის განმავლობაში ეკუთვნოდა. მე ბოდიშს ვიხდი სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელთან, მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი ურევს ორ ცნებას—იურიდიულ მფლობელობას და ფაქტიურ მფლობელობას, რომელიც ვერ ჰპოულობს გამართლებას კანონში, იურიდიულ დასაბუთებაში. როგორ უნდა შევაფასოთ ის ფაქტი, რომ იტალია ჰფლობდა იულიის კრაინას 25 წლის განმავლობაში, თუ მას შევხედავთ საგარეო პოლიტიკის პრინციპების სამართლიანობის თვალსაზრისით? იტალიამ მიიღო იულიის კრაინა 1915 წლის ლონდონის შეთანხმებისა და 1920 წლის რაპალოს ხელშეკრულების შედეგად. მაგრამ ვინ აღიმაღლებს აქ ხმას ამ ორი აქტის დასაცავად, რომელთაც საბჭოთა დელეგაცია მთელ რიგ სხვა დელეგაციებთან ერთად სთვლის, როგორც უსამართლოს?

ჩვენ აშკარად ვთვლით რაპალოს ხელშეკრულებას მძარცველურ ხელშეკრულებად, უსამართლო ხელშეკრულებად. ეს ხელშეკრულება პოლიტიკურ ინტერესთა თამაშის შედეგია; იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლიანი პოლიტიკის გამოხატულებად. ვინ დაუპირისპირა აქ რამე ამ თეზისს? სამხრეთ აფრიკის დელეგაციის პოზიციის რომელი დამცველთაგანი არის მზად ან შეეცადა დაემტკიცებინა, რომ რაპალოს ხელშეკრულება სამართლიანი და პატივისცემისა და ისტორიის მიერ აღიარების ღირსია? არავის არ შეეძლო ამის თქმა და ვერც სთქვა, იმიტომ, რომ არ შეიძლება ამის თქმა, თუ აშკარა წინააღმდეგობას არ გაუწევ იმ იურიდიულ ფაქტებს, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა ბ-ნი ჯორდანი. რაპალო ისტორიული უსამართლობის სინონიმია, და ბევრი ასეთი სინონიმის პოვნა შეიძლებოდა ისტორიაში. ამ ხელშეკრულების შედეგად სერბთა-ხორვატთა-სლოვენთა სამეფო გაძარცვულ იქნა იმ პრინციპების მიუხედავად, რომლებსაც აქ იმოწმებდნენ.

სამხრეთ აფრიკის დელეგატი ცდილობდა გაემართლებინა იტალიისათვის იულიის კრაინის შეერთება და ამტკიცებდა, თითქოს იტალიას ამ ტერიტორიაზე კანონიერი უფლებები ჰქონდეს. სსრ კავშირის დელეგაციას ეს მტკიცება არასწორად მიაჩნია, უსამართლოა, რომ გეოგრაფიული პირობების, ეთნიკური, ეკონომიური და პოლიტიკური პირობების უგულებელყოფით მოითხოვო რათა იტალიას მიეკუთვნოს იუგოსლავიის სანაპირო ტერიტორიის ნაკვეთი 120 კილომეტრი სიგრძისა და 6-დან 24 კილომეტრამდე სიგანისა.

არ შეიძლება სერიოზულად მოვეპყრათ აქ გაკეთებულ შენიშვნებს იმის შესახებ, რომ იუგოსლავებს ყოველთვის შეუძლიათ მიიღონ მიწის ნაკვეთი იმისათვის, რომ დაისვენონ ზღვისპირას. ეს არ არის სერიოზული შენიშვნა. საქმე ის კი არ არის, რომ სხვის მიწაზე დასვენების უფლება მიიღო, არამედ ის, რომ იგემო მშობლიურ მიწაზე დასვენების მთელი სიტკბოება. აი რატომ არ შეგვიძლია ჩვენ დავეთანხმოთ ცდას—სამართლიანად იქნეს წარმოდგენილი აქტი, როცა აგებენ კორიდორს, ხოლო სახლის პატრონს განზე, მისი სახლის ზღურბლს გარეშე სტოვებენ, სთავაზობენ რა მას შესაძლებლობას დატკბეს მშობლიური მიწა-წყლით სხვისი ფანჯრიდან. ამიტომ სსრ კავშირის დელეგაცია არ ეძებს ამ ფაქტის არც ისტორიულ, არც მორალურ გამართლებას. საბჭოთა კავშირის დელეგაციის გამოსვლებიდან ტრიესტისა და თავისუფალი ტერიტორიის საზღვრების საკითხზე სჩანს, რომ იგი არ ცდილობს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინადადების გამართლებას ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისით. პირიქით, საბჭოთა დელეგაციამ შეაფასა ეს აქტი, როგორც სამართლიანობის მინიმუმი. საბჭოთა დელეგაცია ემყარებოდა ამ საკითხში რეალურ პირობებს, რომლებიც გვაიძულებენ ვეძებოთ შეთანხმებული გადაწყვეტილებანი.

(ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დასასრული მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში).

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გრომიკოს თავმჯდომარეობით შესდგა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც გრძელდებოდა განხილვა უკრაინის განცხადებისა საბერძნეთის შესახებ.

პირველი გამოვიდა პოლონეთის დელეგატი ლანგე, რომელმაც მხარი დაუჭირა უკრაინის დელეგაციის განცხადებას, რომ საბერძნეთის სიტუაცია საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, აზრი გამოსთქვა უკრაინის განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ ავსტრალიის წინადადების წინააღმდეგ და მოუწოდა საბჭოს მოიწონოს საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ საბერძნეთის სიტუაციის საკითხზე 16 სექტემბერს შემოტანილი წინადადება.

ლანგემ აღნიშნა, რომ სასაზღვრო ინციდენტები უკვე ცნობილი იყო, და მიემხრო მანუილსკის აზრს, რომ ეს სასაზღვრო ინციდენტები დაკავშირებულია საბერძნეთის შინაურ სიტუაციასა და იქ ფაშისტური და ნახევრადფაშისტური მონარქისტული ძალების ბატონობასთან, რომლებიც ცდილობენ შექმნან საერთაშორისო არეულობა და დაძაბული ატმოსფერო, რათა განამტკიცონ მოთხოვნა საზღვრების გადასინჯვის შესახებ და საბერძნეთში მოიპოვონ ხალხის მხარდაჭერა საზღვარგარეთ ავანტიურების გზით.

შემდეგ ლანგემ სთქვა, რომ საბერძნეთის სიტუაციის პირველი ასპექტი, რაც შეშფოთებას იწვევს, არის ფაშისტი კოლაბორაციონისტების მონაწილეობა საბერძნეთის მთავრობასა და პოლიციის ძალებში. ლანგემ აღნიშნა, რომ მის განკარგულებაშია გრძელი სია საბერძნეთის პარლამენტის წევრებისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებისა, რომლებიც ჰიტლერელებთან თანამშრომლობდნენ. „ჩვენ მიგვაჩნია,—ხაზგასმით აღნიშნა პოლონეთის დელეგატმა,—რომ ამ საკითხს საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს იმავე მიზეზით, რომლითაც ჩვენ ვთვლით, რომ ფრანკისტულ ესპანეთში ნაცისტებისათვის თავშესაფრის მიცემა საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხია".

ლანგემ აღნიშნა, რომ, მეორე მხრივ, პოლონეთი შეშფოთებულია საბერძნეთში პროფკავშირული მოძრაობის მოსპობით. „არსებობს,—განაცხადა ორატორმა, — ანალოგია ამჟამად საბერძნეთში პროფკავშირთა ბედსა და იტალიაში მუსოლინის ხელისუფლების დროს, ჰიტლერული გერმანიისა და ფრანკის ესპანეთში პროფკავშირთა ბედს შორის". ლანგემ მოიყვანა ციტატები პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის საიანისაგან მიღებული წერილიდან, რომელიც ადასტურებს საბერძნეთში პროფკავშირების ჩახშობისა და დემოკრატიულ უფლებათა მოსპობის ფაქტს, და მოუწოდებს უშიშროების საბჭოს განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია გამოკვლეულ იქნას „საბერძნეთში დემოკრატიულ უფლებათა დარღვევა, რაც ფაქტიურად წარმოადგენს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დარღვევას".

შემდეგ ლანგემ აღნიშნა, რომ პოლონეთი შეშფოთებულია საბერძნეთში არსებული შინაგანი ტერორით მონარქიის აღდგენის მტრების წინააღმდეგ. ლანგემ მოიყვანა ციტატა ნიუ-იორკის გაზეთ „დეილი ნიუსის" კორესპონდენტ კონვეის ცნობიდან, რომელშიც დაწვრილებით არის აწერილი ამჟამად საბერძნეთში არსებული გაძლიერებული ფაშისტური ტერორი, და ირონიულად შენიშნა, რომ გაზეთ „დეილი ნიუსის" გამომცემელი არ არის არც ვენის წევრი და არც უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკლამის აგენტი. ლანგემ განაცხადა, რომ ეს ფაქტები დიდ შეშფოთებას იწვევენ პოლონეთის დელეგაციასა და პოლონეთის მთავრობაში, ვინაიდან ისინი მოწმობენ ფაშისტური რეჟიმის განვითარებას საბერძნეთში, და ვინაიდან უკანასკნელი წლების ისტორია ადასტურებს, რომ ფაშიზმი იწვევს საერთაშორისო მღელვარებასა და კონფლიქტებს. ლანგემ განაცხადა, რომ ცალმხრივი დახმარება, რასაც ინგლისი რეაქციულ-მონარქისტულ ელემენტებს უწევს საბერძნეთში, არაპირდაპირ ემუქრება მშვიდობას ბალკანეთში, აქეზებს უპრინციპო და უპასუხისმგებლო ელემენტებს, რომელთაც სურთ ინგლისის მხარდაჭერა გამოიყენონ თავიანთი საკუთარი მიზნებისათვის, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას ბალკანეთში.

ლანგემ აღნიშნა საბერძნეთის სიტუაციის მთელი სერიოზულობა და გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო, რომ უშიშროების საბჭოს ზოგიერთი წევრი წინდაუხედავად გამოსთქვამს სურვილს შეწყდეს უკრაინის განცხადების განხილვა. ლანგემ განაცხადა, რომ იგი განსაკუთრებით არის გაკვირვებული ავსტრალიის დელეგატის პოზიციით, რომელიც საბჭოს წინანდელ სხდომებზე ამტკიცებდა, რომ სურს გულდასმით გამოიკვლიოს განცხადებანი, რომლებიც ფაქტებს შეიცავენ. შემდეგ ლანგემ აღნიშნა, რომ საბერძნეთის სიტუაციის საკითხის საუკეთესო გადაჭრა ის არის, რომ საბერძნეთის საქმეთა გადაჭრა მიენდოთ ბერძენ ხალხს, და გაიხსენა ბევინის 1946 წლის 4 თებერვლის დაპირება საბერძნეთიდან ინგლისის ჯარების გამოყვანის შესახებ. ლანგემ აღნიშნა, რომ გრომიკოს წინადადება ზომიერი და უშუალო შესაძლებლობას იძლევა ღონისძიებათა დაუყოვნებლივ მისაღებად.

თავისი სიტყვის დასასრულ ლანგემ განაცხადა: „სანამ დავამთავრებდე პოლონეთის მთავრობის პოზიციის ჩამოყალიბებას ამ საკითხში, მსურს ერთი თხოვნით მივმართო საბჭოს. ეს თხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ საბერძნეთის პრობლემის გადაჭრას არ მივუდგეთ მიუნხენის სულისკვეთებით. სხვა დელეგატებმა ახსენეს მიუნხენის აჩრდილის გამოცოცხლება და გამოთქმული იყო ერთგვარი ეჭვი, რომ ამჟამად მიუნხენის აჩრდილი მართლაც ცოცხლდება. მე მსურს მქონდეს შესაძლებლობა ვთქვა, რომ ეს სწორი არ არის. სამწუხაროდ, ჩვენ, იმ ადამიანებს, ვინც პოლონელ ხალხს ეკუთვნის, არ შეგვიძლია ეს ვთქვათ, რამდენადაც მიუნხენის აჩრდილები ამჟამად ჩვენ მეტად უშუალოდ გვეხებიან. ამასწინათაც კი წინადადებას იძლეოდნენ, რომ ჩვენი ტერიტორიის ნაწილი გერმანიისათვის დაგვეთმო. ამასწინათაც კი წინადადებას იძლეოდნენ, რომ გერმანიისათვის დაგვეთმო სილეზიის სამრეწველო რაიონი, რათა რეაქციული, ჯერ კიდევ სულიერად განუიარაღებელი გერმანიისათვის მიგვეცა არსენალი, რომლის საშუალებითაც იგი მოაწყობს ახალ დამპყრობლურ ომს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ. მიუნხენის სულისკვეთება და აჩრდილები ამჟამად პირდაპირ ურტყამენ ჩვენს ქვეყანას... მე ვისურვებდი, რომ საბჭო ხელმძღვანელობდეს სხვა სულისკვეთებით — დუმბარტონ-ოქსის, სან-ფრანცისკოს და გაერთიანებული ერების ერთიანობის სულისკვეთებით, ერთიანობისა, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ ომში ჩამოყალიბდა". ლანგემ იმედი გამოსთქვა, რომ უშიშროების საბჭო ამ სულისკვეთებით მიიღებს გადაწყვეტილებას.

შემდეგ გამოვიდა დ. ზ. მანუილსკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სიტუაცია საბერძნეთ-ალბანეთის (საზღვარზე უფრო გაუარესდება, თუ უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებას არ მიიღებს უკრაინის განცხადებაზე. მანუილსკიმ განაცხადა, რომ შექმნილი სიტუაციის საკითხის ერთადერთი გადაწყვეტა იქნება მიღება სსრ კავშირის დელეგატის გრომიკოს მიერ წარმოდგენილი რეზოლუციისა, რომელსაც საბჭოთა უკრაინის დელეგაცია სავსებით უჭერს მხარს. მანუილსკი შეეხო საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ ცალდარისის განცხადებას, რომ უკრაინის მიერ დასმული საბერძნეთის საკითხი არის დავა არა უკრაინასა და საბერძნეთს შორის, არამედ ინგლისისა და საბჭოთა კავშირს შორისაო, და სთქვა, რომ ცალდარისის ეს განცხადება განკუთვნილია იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა საბერძნეთის მონარქისტული ელემენტების მოქმედებისათვის და ეს პასუხისმგებლობა ინგლისს დააკისროს. მანუილსკიმ შენიშნა, რომ ცალდარისისათვის ხელსაყრელია საბჭოთა კავშირისა და ინგლისის შორის ურთიერთობის გაუარესება. მაგრამ, — სთქვა მან, — „გაუგებარია, რათ დასთანხმდა ინგლისის წარმომადგენელი ცალდარისის ამ მანევრს და გამოვიდა ბერძენი უკიდურესი მონარქისტების „ალტერ ეგოს" („მეორე მე") როლში და, ამრიგად, აიძულა უკრაინის დელეგაცია კამათი გაემართა არა მარტო საბერძნეთის დელეგაციასთან, არამედ კადოგანთანაც. ბრიტანეთის წარმომადგენლის ასეთი ტაქტიკა, არა მგონია, ხელს შეუწყობდეს იმ თანამშრომლობის სულისკვეთების განმტკიცებას, რომელიც აუცილებელია პარიზის საზავო კონფერენციის წარმატებისათვის".

მანუილსკიმ მოიყვანა ციტატები საბერძნეთის მთელი რიგი მემარჯვენე გაზეთებიდან, რომლებიც ადასტურებენ საბერძნეთის შინაურ საქმეებში ინგლისის ჩარევის ფაქტს, და სთქვა: „უკრაინის მთავრობის დელეგაციამ, რომელიც ასრულებს თავის მოვალეობას როგორც გაერთიანებული ერების წევრი და, რომელიც ემყარება სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების თვალსაჩინო ბერძენი სახელმწიფო მოღვაწეების განცხადებებს, გააფრთხილა ინგლისის მთავრობა და აცნობა უშიშროების საბჭოს, რომ პლებისციტი, ჩატარებული ინგლისის მთავრობის ზეგავლენით და მონარქისტული ბანდების განუსაზღვრელი ტერორის პირობებში, არათუ არ ამშვიდებს საბერძნეთს, არამედ უფრო ამწვავებს და ართულებს საბერძნეთში არსებულ ვითარებას".

დასასრულ მანუილსკიმ მწვავედ გააკრიტიკა ინგლისის დელეგაციის პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ალბანეთის მიღებას. მანუილსკიმ აღნიშნა, რომ ალბანეთის წინააღმდეგობას იტალიისა და გერმანიის აგრესიისადმი არაერთგზის ქებით იხსენიებდნენ მოკავშირეთა მთელი რიგი ხელმძღვანელები. მიუხედავად ამისა, იტალია, ყოფილი აგრესორი ალბანეთის მიმართ, მიღებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. გარდა ამისა, იყო ცდები, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიეღოთ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა პორტუგალია, რომელთა პოლიტიკური რეჟიმები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების წესდებას.

ომის დროს, — სთქვა მანუილსკიმ, — ზოგიერთი ქვეყანა, რომლებიც ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან, გერმანიის მიმართ ერთგვარი ხელშემწყობი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ეწეოდნენ, რაც უფრო დიდ ზიანს აყენებდა გაერთიანებულ ერებს, ვიდრე ბულგარეთის მიერ ინგლისისა და შეერთებული შტატებისათვის ომის გამოცხადება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი წევრის კოლონიური პოლიტიკა კოლონიური ხალხების სამართლიან პროტესტს იწვევს. „ეჭვი არ არის,—განაცხადა მანუილსკიმ, — რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალბანეთის მიუღებლობა არის დისკრიმინაციის პოლიტიკა ალბანეთის მიმართ, პოლიტიკა, რომელიც ამჟამად საბერძნეთის აგრესიულ მონარქისტულ ელემენტებს აქეზებს პროვოკაციულად გამოიწვიონ სასაზღვრო ინციდენტები და რომელსაც შეუძლია შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვიოს ევროპის ამ ნაწილში".

მანუილსკის შემდეგ გამოვიდა საბერძნეთის წარმომადგენელი დენდრამისი, რომელიც კვლავ იცავდა საბერძნეთის მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას.

საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია 18 სექტემბრისათვის.

გამოძახილი უოლესის სიტყვაზე

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ასოშიეტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უოლესმა ამ სიტყვასთან დაკავშირებით უფრო მეტი წერილები და დეპეშები მიიღო, ვიდრე მის რომელიმე წინანდელ სიტყვასთან დაკავშირებით, ამასთან ამ წერილებისა და დეპეშების უმრავლესობის ავტორები იწონებენ უოლესის გამოსვლას.

ერაყში ინგლისის ახალი ჯარები ჩავიდნენ

ბაღდადი, 19 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლივა-ელ-ისტიკლალი" იუწყება, ბაღდადს სრული საჭურველით ჩავიდა ინგლისის ჯარების ბრიგადა, რომელიც, გაზეთის სიტყვით, ჩრდილოეთ ერაყში გაიგზავნება.

ბაღდადი, 19 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „საუტ-ალ-ახალის" ცნობით, ერაყში პალესტინიდან ჩავიდა ინგლისის ჯარების ახალი დივიზია. გაზეთი აგრეთვე იუწყება, რომ ინგლისელთა ბანაკში ედ-დივანის ახლოს (ბაღდადის სამხრეთით) განლაგდნენ ინდოელთა ჯარები.

ინგლისის მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის გენერალური მდივნის განცხადება

ლონდონი, 19 სექტემბერი. (საკდესი). 17 სექტემბერს საუტპორტში (ლანკაშირი) მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის ყოველწლიურ კონფერენციაზე ამ კავშირის გენერალურმა მდივანმა გარდნერმა მოუწოდა ლეიბორისტულ მთავრობას შეასრულოს დაპირებანი, რაც მან არჩევნების დროს მისცა რკინისა და ფოლადის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ. მან განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის ახლანდელი გეგმები ითვალისწინებენ მოგებით უზრუნველყოფას, მაშინ როდესაც საჭიროა რკინისა და ფოლადის კოლოსალური მიწოდება დაბალ ფასებში ინგლისის მრეწველობის რეკონვერსიის მიზნით.

ცალდარისი ემუქრება ეამსა და კომპარტიას

ათენი, 16 სექტემბერი. (საკდესი). ყოველდღიურ გაზეთ „ანექსარტისიაში" მოთავსებულია პრემიერ-მინისტრ ცალდარისის სტატია, რომელიც შეიცავს მუქარას „შინაური მტრების" მიმართ.

მონარქისტული პრესა წინასწარ სამი დღის განმავლობაში რეკლამს უკეთებდა ამ სტატიას, როგორც „უკანასკნელ გაფრთხილებას ეამისა და კომპარტიისადმი", რის შემდეგაც მათ თავს დაატყდებათ ყოველნაირი რისხვა.

ეამის ცენტრალური ორგანო გაზეთი „ელევთერი ელადა" უპასუხებს პრემიერ-მინისტრ ცალდარისის სტატიას და სწერს, რომ მთელი საგანგებო ღონისძიებათა და კანონთა შემდეგ ცალდარისი თავისი ხელების გახსნის მუქარით ვერაფერს დააშინებს, გარდა საკუთარი თავისა, ყოველ შემთხვევაში, — ნათქვამია სტატიაში, — იგი ვერ შეაშინებს ეამს, რომელიც მეთაურობდა ბერძენი ხალხის გმირულ ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ.

ფაშისტური ორგანიზაციის საქმიანობის განახლება ინგლისში

ლონდონი, 19 სექტემბერი. (საკდესი). ორგანიზაციამ „მშვიდობისათვის ბრძოლის კავშირმა" 17 სექტემბერს გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც იგი მოუწოდებს ამნისტირებულ იქნას ყველა, ვინც ბრალდებულია დიდ და მცირე სამხედრო დანაშაულობათა ჩადენაში, მათ შორის ის პირები, რომელთაც ნიურნბერგში ასამართლებენ.

„მშვიდობისათვის ბრძოლის კავშირი" დაარსებული იყო ჰერცოგ დიკ შეპერდის მიერ 1934 წელს. 1939 წელს კავშირმა გამოსცა წიგნი, რომელიც მოუწოდებდა ისეთ პროფაშისტურ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობისაკენ, როგორიც არიან კარგად ცნობილი „ინგლის-გერმანიის ძმობა" და „ლინკი" („რგოლი"). ომის დროს კავშირის წევრები დაპატიმრებული იყვნენ, როგორც საშიში ელემენტები. უკანასკნელ დრომდე არაფერი არ ისმოდა კავშირის საქმიანობის შესახებ, და 17 სექტემბრის განცხადება მისი საქმიანობის განახლების პირველი ნიშანია.

ინდონეზიაში ჰოლანდიის ჯარების გაგზავნის გამო

ჰააგა, 19 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთებმა დაბეჭდეს პრემიერ-მინისტრ ბეელის სიტყვა, რომელიც რადიოთი გამოვიდა ინდონეზიაში ჯარის ახალი კონტინგენტების გაგზავნის გამო. ბეელი ამართლებდა ჯარების გაძლიერებულ გადაყვანას და ჰოლანდიის მოსახლეობას მოუწოდებდა დაეხმაროს ჰოლანდიის არმიას, რომელიც ინდონეზიაში იბრძვის.

კეცხოველის სახელობის ქალაქო პარტკაბინეტში

21 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება კონსულტაცია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში.

კონსულტაციას ჩაატარებენ ამხ. მირიანაშვილი (ქართულ ენაზე), ამხ. ნოლიანისი (რუსულ ენაზე).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის კურსების დირექცია აცხადებს მსმენელების მიღებას ქართულ და რუსულ სექტორების შემდეგ განყოფილებებზე: 1. სტენოგრაფიისა, 2. მანქანაზე წერისა, 3. საქმის წარმოებისა და სამდივნო საქმის.

კურსებზე მიიღებიან პირები არანაკლებ საშუალო განათლებისა. კურსები აწარმოებს აღნიშნულ სპეციალობებში მუშაკთა როგორც მომზადებას, ისე გადამზადებას. კურსებზე სწარმოებს აგრეთვე პედაგოგების მომზადება სტენოგრაფიის დარგში. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება კურსების დირექციაში.

განცხადების მიღება სწარმოებს „სტენო ტიპისტის" კანცელარიაში (ჭავჭავაძის ქ. № 1) ყოველდღე 12-დან 7 საათამდე.

კურსების დირექცია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1946 წლის 2 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **სეით ალექსანდრეს-ძე ლარცულიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სრული შესაბამისობის საკითხისათვის სოციალიზმის პერიოდში".**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი კ. ს. ბაქრაძე, მეცნიერების კანდიდატი, დოცენტი პ. ნ. თავხელიძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **ალექსანდრე პეტრეს-ძე ბერეჟანოვმა**, მცხოვრებმა კლარა ცეტკინის ქ. № 14, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნადეჟდა ნიკოლოზის-ასულ ბერეჟანოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვასილ პავლეს-ძე ნიკოლსკიმ**, მცხოვრებმა მერკვილაძის ქ. № 16, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ტატიანა პეტრეს-ასულ ნიკოლსკისთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლო.

ნ. ხავთასი, მეხსი, ე. საჯაია, ა. დადიანი, ვ. ბარათაშვილი, ბ. ნარსია იუწყებიან ხუჭუჭა ლორთქიფანიძის დედის **მარუსა ლორთქიფანიძე-პურადაშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 09689.